№ 273

კვირა, 16 დეკემბერი, 1901 წ.

ფ ა ს ი   გ ა ზ ე თ ი ს :

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

# ივერია

№ 273

კვირა, 16 დეკემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ., მეოთხეზედ—5 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ივერია“

გამოვა 1092 წელს

(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

**გადიდებულ ადგილობრივ რუსულ გაზეთების ფორმატისა, იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

თან-და-თანობითი ზრდა მკითხველთა მოთხოვნილებისა და ის გარემოება, რომ ეხლანდელი პატარა ფორმატი გაზეთისა ხშირად ნებას არ გვაძლევს საჭირო საგნებსა და საზოგადო საკითხებს ჯეროვანი ადგილი დაეთმოს ხოლმე,—გვაიძულებს, გავადიდოთ გაზეთი და გავხადოთ იმ ზომისა, რა ზომისაც ტფილისის რუსული გაზეთებია. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატება ნახევარი იმისა, რაც დღეს არის და მკითხველს მისცემს ყოველ დღე 10 სვეტით მეტს საკითხავს მასალას.

რედაქცია ახალის წლიდგან განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრობა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ეცდება გაამდიდროს სალიტერატურო განყოფილება გაზეთისა და განსაკუთრებით ვრცლად აღნიშნოს ხოლმე ის მოვლენანი და დღენი, რომელთაც ჩვენში თუ შიდა რუსეთში საგანგებო მნიშვნელობა ექნება.

### ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

გაზეთის დასაბარებლად შეიძლება მიჰმართონ

ტფილისში:

**„ივერიის“ რედაქციას,**
ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

**„ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას,**
სასახლის ქ., ბანკის ქარვასლა.

**ქუთაისში**—შეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში,

**ბაქოში**—ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩა, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ი ა ფ - ფ ა ს ი ა ნ ი   წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა.

### ქართული თეატრი

კვირას, 16 დეკემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

პირველად **კოტე მესხის** მონაწილეობით

### დაკლებულ ფასებით

I

## ბორკილი

დრამა 4 მოქმედ., თავ. ა. სუმბათაშვილისა, თარ. ა. ახნაზაროვისა.

II

### რაც არ მერგება, არ შემერგება

კომედია 1 მოქმედებად.

მონაწილეობენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ნებიერიძე, ლეჟავა, მღივანი და სხვ. ბ-ნნი: მესხი, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხვანი. დასაწყისი 8 საათზედ.

შემდეგი წარმოდგენისთვის მზადდება: ახალი პიესები: „პედაგოგები“, „ტარტიუფი“.

(2—უ.—1) რეჟისორი ვალ. გუნია.

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ რადგანაც 9 დეკემბრისათვის დანიშნული კრება საზოგადოებისა არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, დაინიშნა მეორე კრება კვირას, 16 დეკემბრისათვის. კრება მოხდება ქართულ თეატრის ფოიეში, დილის 11 საათზედ და კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**განსახილველია შემდეგი საგნები:**

1) 1901—1902 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში.

2) გამგეობის მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ და 3) არჩევნები გამგეობის წევრთა კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა და საზოგადოების ახალ წევრებისა.

1901 წლის 22 დეკემბერს ტფილისის საკრებულო დარბაზში გამართული იქნება წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

## კონცერტი,

რომლის დასასრულ იქნება **ცეკვა** ქართულ-ევროპიული. საღამოს დიასახლისად ბრძანდება ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილი. დაწვრილებით ცნობა თავის დროზე. ბილეთები საზოგადოების კანცელარიაში იყიდება.

ვისაც ჰსურს **საახალწლოდ სადარბაზოდ სიარულის ნაცვლად** შეწირულობა გაიღოს „ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, შეუძლიან ფული „ივერიის“ რედაქციაში წარმოადგინოს.

(სარედ.)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8–10 საათამდე.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

**ე. გ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

**გ. გ. მაღალაშვილი.** შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10–11 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10–11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი.** კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე.** ბავშვებისა. 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი.** ნერვებისა და შინაგანი. 12–1 ს.

**ა. გ. ბარსუკოვი.** დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი.** სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ნ თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი.**—შინაგან და ბავშვებისა. 5 - 6 საათ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

**გ. გ. მაღალაშვილი.**—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

### პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა' ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ბ ი თ:

**ნ. ნ. როსტომბკოვი.** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^1/_2$ ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

### იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ე ქ ი მ ი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9–12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა.

ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—9).

მ კ უ რ ნ ა ლ ი

### მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ტფილისი, დეკემბრის 16.

აგერ ოც და-ხუთი წელიწადი სრულდება, რაც „ივერია“ არსებობს. არც ერთს ქართულ ჟურნალსა და გაზეთს ამოდენი დრო არ უცოცხლია. გარემოება თითქო ხელს არ უწყობდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას და თვითოეული ჟურნალი თუ გაზეთი, როგორც მალე იბადებოდა, უმეტეს შემთხვევაში, ისრე მალეც კვდებოდა. მხოლოდ „ივერია“ ასცდა ამ ბედის წერას და არა თუ აქამდე მოაღწია, არამედ ახლა ფორმატით გადიდდა და რედაქციით განახლდა. გაზეთის გარეგანს ცვლილებას, იმის ფორმატსა და სახეს მაგრე რიგად მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ისაა,—რა ახალს გზასა და მიმართულებას დაადგება ჩვენი გაზეთი

აქამომდე „ივერია“ ცნობილი იყო ჩვენთა საეროვნო მისწრაფებათა და წადილთა გამომეტყველ ორგანოდ. იმის დროშაზედ დიდის ასოებით ეწერა ეროვნული მცნება—ენა, მიწა-წყალი, სარწმუნოება. ჩვენის გაზეთის მცნება ამის შემდეგაც იგივე დარჩება, მაგრამ ამ მცნებას, დროთა ვითარებისა გამო, სხვა ხასიათი მიეცემა, პროგრესიული ელფერი დაედება.

ჩვენი ცხოვრება ერთს დონეზედ როდი სდგას. არა, იგი იცვლება, თანდათან უმჯობესდება, წარმატებას ეძლევა. ყველასთვის ცხადია, რომ დღითი-დღე ჩვენშიაც ევროპიული სწავლა-განათლება იფინება, ევროპიული აზრი და საქმე ვრცელდება, კულტურული მოთხოვნილება და საჭიროება მყარდება. ერთის სიტყვით, საქართველოც ნელნელა და თანდათან ევროპიელდება. რასაკვირველია, ყოველსავე ამას პირდაპირი ძალუმი გავლენა აქვს ჩვენს ეროვნულს ვინაობაზედ და ამის გამო ეროვნულ პრინციპებსაც სხვა ფერი უნდა დასტყობოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას—აზიური ხასიათი ევროპიულზედ უნდა შესცვლოდა. აწინდელი მამულიშვილობაც ის აღარ არის, რაც უწინ იყო. უწინ უმეტესად წარსულს შესტრფიალებდნენ და იქ ეძებდნენ იდეალს. ახლა-კი წინ უნდა ვიცქირებოდეთ და ჩვენი გაზეთი პირველადვე ეროვნულ მოძღვრებას ემსახურებოდა და ახლაც ამ მოძღვრებას ემსახურება. მეცნიერებამ უკვე განმარტა და დაადგინა,—რა არის ერი და რა გზით უნდა მიმდინარეობდეს მისი ზრდა. ერი რთული ორგანებრივი სხეულია და ამ სხეულს სხვა და სხვა ასო და ნაწილი შეადგენს. ერის თვითეულ ნაწილს და ასოს თავისი ადგილი და მნიშვნელობა აქვს. სოციალურ სხეულში ასეთს ნაწილს და ასოს შეადგენენ ერის სხვა და სხვა ჯგუფნი და წოდებანი. კერძოდ ჩვენი ერიც სხვა და სხვა წოდებისგან შესდგება. ძველად საქართველოს სოციალური აგებულება მრავალ სართულიან შენობას წარმოადგენდა. ამ შენობის ქვემოდ საფეხურიანი კიბე იდგა და რამდენსაც ზემოდ ფეხს ასდგამდით, იმდენად უფრო მეტს უფლებას და ღირსებას შეხვდებოდით. თუ ზემოდგან ქვემოდ კიბეს ჩამოჰყვებოდით, ყოველს საფეხურზედ უფლებასაც აკლდებოდა და ღირსებასაც. და ეს იმიტომ, რომ კიბის საფეხურებზედ ჩამომწკრივებულნი იყვნენ შენობის მცხოვრებნი „ჩინებისა მათისაებრ“. შენობის ზემო სართულში დიდებულნი ბინადრობდნენ, ხოლო ქვემოში—გლეხნი.

საქართველოს დამოუკიდებლობის და მეტადრე ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ ჩვენი სოციალური შენობა დაირღვა, მაგრამ ნანგრევებზედ ნატამალი დარჩა და ძველი წოდებანი, სხვა სახით და უფლებით, ისევ არსებობენ. აი, სწორედ ეს წოდებანი შეადგენენ მრთელს და განუყოფელს ორგანებრივს სხეულს. თვითეული ამ წოდებათაგანი ბუნებრივი ნაწილი და ასო არის ამ სხეულისა და არა მეჭეჭი და ხორც-მეტი, რომელსაც ვითომ დოსტაქრის დანით მოჭრა ესაჭიროება. ჩვენი მოძღვრება და პროგრამა ის არის და იქმნება კიდეც, რომ მთელ ერისთვის ვიზრუნოთ და ვილვაწოთ. ქართველ ერს საერთოდ ყველა წოდებანი შეადგენენ—თავადნი და გლეხნი, მღვდელნი და ვაჭარნი, მრეწველნი და მუშანი. თვითეული ამათგანი ქართველი და ადამიანია და თვითეულ ამათგანს, როგორც ქართველს და ადამიანს, უფლება აქვს არსებობისა. და ვინც ერთს რომელსამე წოდებას კერპად იხდის და სხვებს უარჰყოფს, ვინც, მაგალითებრ, მხოლოდ მდაბიო და მუშა ხალხს ეტრფიალება და თავს ევლება და სხვებს-კი ერის მეჭეჭად და ხორცმეტად სთვლის, იგი ღრმად სცდება და ეროვნობას ჰღალატობს. დეე, სხვებმა ჰქმნან ეს. მაგრამ ჩვენ-კი არასოდეს ამას არ ჩავიდენთ...

უწინდელმა წოდებრივმა წეს-წყობილებამ თავისი დრო მოჭამა. წინად თვითეული წოდება განსხვავებულს და განკერძოებულს ერთეულს წარმოადგენდა. ყველა წოდებას თავისი უფლება ჰქონდა, თავისი სისხლი სდიოდა „ჩინებისა მისისაებრ, ზეიდამ ქვეით ნახევრად, ანუ ქვეიდამ ზევით ერთი ორად“. ახლა ნატამალი-ღა დარჩა ძველ ფეოდალობისა და ჭკუის მტერი თუ იქმნება ვინმე, რომ წოდებრივს უპირატესობას გამოესარჩლოს და ძველ სოციალურ შენობის აღდგენა ანუ შეკეთება მოინდომოს. ახლანდელ სოციალურს შენობას ხუროთ მოძღვრებამ სხვა საძირკველი მოუძებნა და ასეთი საძირკველი სამ ქვაკუთხედზედ დაამყარა. ამ ქვაკუთხედებს შეადგენენ ერთობა, ძმობა, თანასწორობა. აწინდელი ხუროთ-მოძღვრების მცნება ჩვენც სავალდებულო ჭეშმარიტებად მიგვაჩნია და ჩვენი შრომა მიმართული იქმნება, ეს დიდებული მცნება საქმედ გარდაიქცეს და ჩვენი ნაფეოდალარი საქართველო ახალ-ჯურის და სახის ქვეყნად გარდაიქმნას. ხოლო ვინც ცალ-კერძო მოძღვრებას ადგია და ქართველად და კაცად მხოლოდ ერთის რომლისამე წოდების წარმომადგენელს ჰხადის, იგი დიდებულ საეროვნო დარბაზს ვერასოდეს ვერ ააშენებს და, პირ იქით, საბოლოოდ დაანგრევს იმასაც, რაც ახლა არსებობს.

ერის ორგანებრივი ზრდა, შეძლებისამებრ, მწყობრად უნდა მიმდინარეობდეს და უნდა შეიცავდეს მრთელს და სრულს ბუნებას—სულიერსა და ხორციელს. ერის ყოველივე ძალა, ფიზიკური თუ ჰსიხიური, გონებითი თუ ზნეობითი, დიახ რომ თანასწორად საჭიროა და ერთნაირად ყურადღების ღირსია. როცა ერთ-ერთი ასეთი ძალა ზრდასა და წარმატებას მოკლებულია, მაშინ ერის არსებობაც მრუდე და სახიფათო გზას ადგია. თუმცა ზოგან და ხანდახან გონებითს და ზნეობითს პროგრესს უფრო მეტი ფასი ჰქონია, მაგრამ ახლა ეგრე აღარ არის და ჩვენს დროს ეკონომიური ძალა თითქმის მბრძანებელ ფაქტორად გარდაქცეულია. მეტადრე მრეწველობამ და აღებ-მიცემობამ მიიქცია უპირატესი ყურადღება. წინდელ დროს ბრძოლა უმეტესად საეკონომიო ასპარეზზედ სწარმოებს. ძმობისა და ერთობის დიდებულ მცნებას თავ-გამოდებით და

## ფელეტონი

**სადღეისოდ.**

ამ ბოლო დროს ქართულ პრესას, გარეგან მხრით მაინც, სიცოცხლე და მოძრაობა დაეტყო. სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწე ინტელიგენცია დასებად გაიყო, ჯგუფებად დალაგდა და საკუთარ რედაქციებსა და წრეებში თავი მოიყარა. უწინდელი ლიტერატურული ერთობა და კავშირი თითქო სამუდამოდ დაირღვა და მოისპო. ახლა ერთი და იგივე მოძღვრება და პროგრამა თითქო აღარავის აკმაყოფილებს და ინტელიგენციის თვითოეული ჯგუფი განსხვავებულს გზასა და კვალს მისდევს. თვითოეულ ლიტერატურულ წრეს თავისი სალოცავი კერპი გაუჩენია, თავისი სიმბოლო სარწმუნოებისა გაუზეპირებია და გარეშე ამ „მამაოს“ ერთი დღეერთი"-სა სხვა აღარაფერი სწამს. ჩვენმა რედაქციებმაც ხომ გამოჰფინეს პროგრამები და დიდის ამბით ქვეყანას აუწყეს,—ჩვენ ამა და ამ მოძღვრებას აღვიარებთ, ამა და ამ მიმართულებას მივდევთ და ამა და ამ პროგრამას ვიცავთო. დროშით თავ-მოწონება იქამდე მივიდა, რომ ზოგს რედაქციას გული ეტკინა და გაიბუტა კიდეც,—უხუცესი „ივერია“ რად სდუმს და ჩვენის დროშის გამო არას ამბობსო“...

პირველ შეხედვით გულ-უბრყვილო და საქმეში ჩაუხედავს მკითხველს იქნება ეგონოს, რომ ჩვენი სალიტერატურო საქმე გაჩარხულა და საზოგადოებრივი აზრი განვითარებულა, რომ ამოდენი დროშა გამოიფინა და ამდენი დასი გამოვიდა ლიტერატურულ მოედანზედ. მაგრამ ეს ცალიერი ოცნებაა და სხვა არაფერი. სამწუხაროდ, ცხოვრება და სინამდვილე ცხადად ამტკიცებს, რომ აწინდელ ახალ ლიტერატურულ დროშებსა და დასებს მკვიდრი ნიადაგი არა აქვთ და იგინი წარმოადგენენ უფრო გარეგანს ზიზილ-პიპილა ნიშანს, რომლითაც მხოლოდ კეკლუცობენ და თავი მოაქვთ. თუ ჩვენის ლიტერატურის მიმდინარეობას და შინაარსს ღრმად დავუკვირდებით, გონების თვალით განვჭვრეტთ და რომელსამე „მოდნურს“ აზრს არ ავიკვიატებთ, ადვილად დავინახავთ, რომ ჯერ-ჯერობით არ გამორკვეულა, არ დასრულებულა და ყალიბში არ ჩამოსხმულა არც ერთი ის ახალი მოძღვრება, რომლის ბაირაღი ასეთის ზეიმითა და ამბით გაიმზევდა საზოგადოების მოსახიბლავად. მართალია, ქართულ ლიტერატურაში ხან-დახან და აქა და იქ ახალი სიტყვა და ახალი ხმა ისმის ხოლმე, მაგრამ ეს კიდევ იმას არ მოასწავებს, რომ ახალ მიმართულებას და დროშს საკმაო საბუთი მოეპოვება. აწინდელი ცხოვრება მასალას არ იძლევა, რომ მოღვაწემ აფრიალოს დროშა, აი თუნდ ეკონომიურ მატერიალიზმისა. და თუ ვინმე ასეთს დროშას აფრიალებს, იგი ცხოვრების უცოდინარობას ამტკიცებს და მარტო თავის თავს თუ ატყუებს და არა სხვასს ვისმე.

„ივერიას“ არც იმ თავად ჰყვარებია და არც ახლა უყვარს,—მარტოოდენ მოძღვრების სიბრ-ლით თავი მოიტანოს და ყოყოჩობა დაიწყოს.

პროგრესიულ მოძღვრებაში ვეძებდეთ ცხოვრების გაკვეთილებს...

სწორედ ამ მოძღვრების მიხედვით „ივერია“ აღნუსხავს და განმარტავს ხოლმე ცხოვრების ყოველ საყურადღებო ამბავს და მოვლენას. ხოლო ეგეთი აღნუსხვა და განმარტება პირუთვნელი და მიუკერძოებელი, გულ-ახდილი და გულწრფელი იქმნება. ჩვენს საზოგადო საქმიანობას ისრე არა ჰღუპავს-რა, როგორც ჩვენი დაუდევრობა და გულგრილობა. „ივერია“ ეცდება, ამიერიდგან მეტის ხალისით და ენერგიით თვალყური ადევნოს ცხოვრების მსვლელობას, ამ ცხოვრებას გზასა და კვალში ჩაუდგეს და, შეძლებისამებრ, ფარნად და ლამპრად გარდაექცეს.

მაგრამ ზოგჯერ ჩვენი ხელმძღვანელობაც შეიძლება უტყუარი და შეუცდომელი არ გამოდგეს. უცდომი მხოლოდ ღმერთია და არა კაცი. ამიტომ ჩვენი გაზეთი დიდის ყურადღებით და პატივით მოეკიდება სხვების, თავისის თანამოძმეების, აზრს და მსჯელობას. ისრე გაზეთს არა ჰკლავს-რა და არა აჭლექებს-რა, როგორც ლიტერატურული მანდარინობა, რომელსაც, თავისის თავის გარეშე, სხვა არაფერი არა სწამს-რა. თვითეულს დასაბუთებულ და ლოგიკით აღჭურვილ აზრს, თვითოეულ მოძღვრებას და მიმართულებას თავისი raison d'être აქვს და ანგარიშის გაწევას თხოულობს. ვინც შეუნდობლად და ინკვიზიტურად ეპყრობა სხვის აზრს, იგი აზრის თავისუფლების მტერია და ღირსიც არ არის ლიტერატურულ მოღვაწეობისა...

ყოვლად მოსალოდნელია, რომ ხანდახან და გზა და გზა შეხლა და შეტაკება მოგვიხდეს ამა თუ იმ მიმართულებასთან, ასეთს თუ ისეთს აზრთან. ასეთი ლიტერატურული ქიშპობა ხშირად სასარგებლოც არის, ვინაიდგან ამ საშუალებით ირკვევა და იკვლევა სადავო აზრი, საცილობელი საგანი. მართალი უთქვამთ ფრანგებს—„du choc des opinions jaillit la vérité“—აზრთა კვეთებით იბადება ჭეშმარიტებაო... მაგრამ ჩვენ წინადვე ვაცხადებთ, რომ საქმე გვექმნება აზრთან და მოძღვრებასთან და არა იმათ გამომთქმელსა და ლიტერატორთან. პირადობა ლიტერატურული ხელობა არაა, აზრთა ბრძოლა—აი ლიტერატურის სამეუფო!..

ჩვენი გაზეთი ცალ-კერძო მიმართულებას არ ემსახურება. უკვე აღვნიშნეთ, რომ „ივერია“ საეროვნო პროგრესიულ გზას დაადგება. ხოლო ასეთ გზას მგზავრი მთელ საქართველოსკენ და ქართველობისკენ მიჰყავს და უმთავრესი განსხვავებაც ჩვენის გაზეთისა ეს იქმნება. ეგრედ წოდებული დასებრივი, ანუ როგორც ახლა ამბობენ—კლასებრივი მიმართულება, ჩვენის შეხედულებით, ვიწრო ბილიკით დაიარება და ამ ბილიკით მოსიარულე მთელ ერის გულსა და სულს ვერ მიაღწევს ღვთის წინაშე, ცოდვა კია, რომ რომელმამე ჩვენმა გაზეთმა თუ ჟურნალმა მთელ ერის გულსა და სულს გზა აუქციოს და მარტოოდენ ხალხის ერთს ჯგუფსა და ერთს ნაწილს ემსახურებოდეს.

ვინ არ იცის, რომ ერთობა ძალაა, ხოლო ცალკეობა — უძლურებაა რა დროს დასებრივი და კლასებრივი მიმართულებაა, როცა სამშობლო საერთო შრომასა და მოღვაწეობას თხოულობს?!

დიაღ, „ივერია“ საეროვნო პროგრესიული გაზეთი იქმნება. ამ გაზეთის რედაქციის კარი მუდამ ღია იქმნება ყველა მოღვაწისთვის, რომელიც ჩვენს პროგრამას მისდევს და სურვილი აქვს თავისი ძალა და ცოდნა შესწიროს ერთობლივ ქართველობას, განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა. რედაქციამ უწყის ჩვენის ერის გულის ნადები, მისი იმედი და სასოება და ყოველ ღონეს იხმარს, რომ თავისი მძიმე მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. ხოლო მკითხველ საზოგადოების მხრივაც თანაგრძნობაა საჭირო...

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** დღეს 12 საათზე ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ბეჭდვითი საქმის ყველა მოღვაწეთა კრება, რომელზედაც უნდა განიხილონ პროექტი „ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელის საზოგადოებისა“. მწერლებს გარდა ეს საზოგადოება შემწეობას აღმოუჩენს აგრეთვე ასოთ-ამწყობთ, მესტამბეებს და სხ.

*** კავკასიის საიმპერატორო რუს. გეოგრაფიული საზოგადოების კომიტეტის თხოვნით პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სეკრეტარს ღენერალ-ლეიტენანტს დუბროვინს გაუგზავნია ბატონიშვილის ვახუშტის დეოდრაფიული აღწერა საქართველოისა, ავტორის საკუთარი ხელით ნაწერი. ამ შრომას ამ ჟამად რუსულად თარგმნის ჩვენი ცნობილი მოყვარული ისტორიისა და არქეოლოგიისა მ. გ. ჯანაშვილი. თარგმანი დაიბეჭდება გეოგრაფიულ საზოგადოების გამოცემაში („ცნობები“) „Кавказъ“-ის სიტყვით ამ ძვირფასს შრომას, ჩვენდა სამწუხაროდ, ჰკლებია რამოდენიმე გვერდი.

*** კავკასიის სააბრეშუმო სადგურის უფროსი ბ. ნ. ნ. შავროვი და მისი ასისენტი ბ. ივანოვი, ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფებიან, სამეურნო მოღვაწეთა კრებაზე დასასწრებლად. კრებაზე ისინი წარუდგენენ მოხსენებას სპარსეთში მეაბრეშუმეობის მდგომარეობაზე.

*** ს. მეჯვრისხევში (გორის მაზრა), როგორც გვატყობინებენ, ადგილობრივ პოლიციის და გუბერნიის ექიმის ქიქოძის თანადასწრებით მცხოვრებლების კრებას ერთხმივ გადაუწყვეტია, მოიწვიეს ექიმი ზემოხსენებულს სოფელში და აფთიაქიც გახსნას საკუთარი ხარჯით.

*** ს. ქვემო-ჭალაში მცხოვრებლებს განუძრახავთ, იყოლიონ საკუთარი ექიმი. ამ საქმის გამო გუბერნიის ექიმი ბ. ქიქოძე აპირობს წასვლას ზემოხსენებულს სოფელში.

*** ტფილისის მაზრის სოფელ მარტყოფის საზოგადოების მცხოვრებლებმა გამოიღეს ფული და დაიარსეს სასოფლო ქსენონი. ეს ერთი თვეა, რაც მარტყოფის ქსენონი გაიხსნა, და ამ თვის 14-ს დიდის ამბით აკურთხეს კიდეც გუბერნატორის, გუბერნიის ექიმის, მაზრის უფროსის და სხვ. დასწრებით. ყოველ დღე თითქმის 50 სარგებლობს თურმე ჯერ-ჯერობით ამ ქსენონით; ყოველ წლიურ ხარჯად ქსენონს შესანახავად სჭირდებად 2300 მან. როგორც შევიტყვეთ განზრახვა აქვთ მარტყოფის ქსენონს მალე საკუთარი შენობაც აუგონ, ჯერ ჯერობით კი დაქირავებულს სახლში აქვთ მოთავსებული.

ტფილისის მაზრაში ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა, რომ ხალხი თავის ხარჯით სასოფლო ქსენონებს იარსებს.

*** ახალ-სენაკიდგან გვწერენ: „დეკემბრის 11—12 აქ კრება ჰქონდათ სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატებს. კრების უმთავრესი საგანი იყო სასულიერო სასწავლებლის მომავალ 1902 წ. ხარჯთ-აღრიცხვა...

სიმინდის ფასი თან-და-თან მატულობს. ასე რომ დღეს ფუთი სიმინდი ახალ-სენაკში მოტანილი ღირს 59 კაპ., მაგრამ უბედურება ის არის, რომ წელს აქეთ საზოგადოდ ძალიან ნაკლები მოსავალი იყო სიმინდისა და სხვა ჭირნახულისაც. მრავალს გასასყიდი კი არა, სარჩოც აღარ მოუვიდათ. ამის გამო ხალხი ერთობ დაღონებულია.

სენაკის ახლო-მახლო სოფლებში ბავშვთა შორის გავრცელებულია ყელის ტკივილი... ამ დეკემბერში აქეთ შვენიერი და სანაქებო დარებია, ნამდვილს გაზაფხულის დღეებს მოაგონებს კაცსა...

*** როგორც გვატყობინებენ, ლანჩხუთლებს ორ კლასიან სამინისტრო სკოლის 4 კლასიან სამოქალაქო სასწავლებლათ გადაკეთება განუზრახავთ და თხოვნა უკვე წა-რუდგენიათ დასამტკიტებლად. იმედია, მომავალ სამოსწავლო წლიდან ლანჩხუთლებს ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი ექნებათ.

*** დ. ლანჩხუთი. ადგილობრივი ბოქაულის თანაშემწის შავგინის ვაჟმა 12 დეკემბერს საფანტით გატენილი თოფით უცაბედათ მოკლა რაჟდენ ცინცაძის პატარა ვაჟი.

*** ტეხნიკის ქუჩაზე პოლიციის მე-10 ნაწილში მცხოვრებმა ბორის სპ. ესაძემ განუცხადა ტფილისის გამგეობას, რომ ქალაქის სკოლისათვის ჩემს სახლს გარდავაკეთებ იმ გეგმით, როგორსაც მიჩვენებთო, თუ შკოლისათვის დაქირავებული იქმნება ჩემი სახლი 5 წლის ვადითო.

*** სომეხთ—გრიგორიანთა კონსისტორიამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, მადათოვის კუნძულზე სომეხთა იორდანეს პირდაპირ მტკვრის შტოზე ხიდი გაგვიკეთეთ ჩვენის ხარჯითაო.

*** 19 დეკებერს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და ქალაქის სკოლების გამგე-კომისიისა იმ საკითხის განსახილველად, თუ რა საშუალებანი იხმარონ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელის იმ ნაკლულევანებათა ასაცილებლად, რომელიც სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ამას წინად უჩვენა გამგეობას.

*** კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების საბჭოს შეატყობინა ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა, რომ სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროში ბანკის წარმომადგენლებად დაინიშნენ ანტონ ფურცელაძე და მიხეილ ნიკ. ვეზირიშვილი.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის პავილიონის შენობა უნდა გაჰყიდოს ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა და ამ ფულით ბორჩალოს მაზრაში ერთი სამინისტრო სკოლის შენობას ააგებენ. რადგანაც აჩქარებით კარგს ფასად ვერ გაჰყიდიან, ამიტომ დირექტორი სთხოვს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხვა ექსპონენტებივით ნუ დაგვაჩქარებთ დაჩვენი პავილიონი გამოფენის ტერიტორიაზე 21 დეკემბერს შემდეგაც დარჩესო.

## სასამართლოს გადაწყვეტილება ქალაქის გამგეობის წევრთა საქმის გამო.

ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, რომ სამოსამართლო პალატამ გაასამართლა ქალაქის გამგეობის წევრნი, რომელნიც სამართალში იყვნენ მიცემულნი და რომელთაც სხვა-და-სხვა ბრალი დასდოთ საქმის უწესოდ მართვის გამო.

თითქმის ორი წელიწადია, რაც ეს გარემოება იზიდავდა ყველას ყურადღებას და აღელვებდა კიდეც საზოგადოებას.

ახლა მოელო ბოლო ყოველ იმ მითქმა-მოთქმას, რომელსაც, ჩვენდა სასიამოვნოდ, არავითარი საბუთი არა ჰქონია, როგორც ეს დაამტკიცა თავისის განაჩენით იმისთანა კომპეტენციით მოსილმა დაწესებულებამ, როგორიც არის სამოსამართლო პალატა.

ნათქვამია, ერთი ჭირი მარგებელიაო, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში ჩვენი ქალაქის მოღვაწენიც მეტის სიფრთხილითა და მხნეობით იმოქმედებენ ქალაქის სასარგებლოდ, აღარავის მისცემენ მიზეზს მათის სამართალში მიცემისას და მით ასიამოვნებენ თვით-მმართველობის ჭეშმარიტ გულ-შემატკივართ.

# ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝ

არ ვიცი, ტფილისს დაჰკარგა ზამთარი, თუ ზამთარს—ტფილისი, ეს-კი აშკარაა, რომ დღევანდლამდე ტფილისი და ზამთარი ერთმანეთს აცდენილნი არიან და ცალკ-ცალკე ჰგიებენ.

დღე გაზაფხულის ცხრა-თვალი მზე დაჰლოდლაღებს ტფილისის ოღრო-ჩოღრო და აკიბულჩამოკიბულ ქუჩებს და ღამე—ბადრი მთვარე დაჰქათქათებს და საჩინოდ ჰყოფს ქალაქის ანთებულ ფარნებს, რომელნიც უმთვარო ღამეში სრულიად არა სჩანან,—თითქოს ჩვენის ქალაქის „მხნე მამებს“ მეორე საბრალმდებლო ოქმს უდგენსო და წუნსა სდებს აწინდელს განსამართლებას, რომელსაც მიზეზად ზონარ-გაყრილ დავთრების უქონლობა და სხვა ამ გვარი წვრილმანი გახდომია.

გათავდა ეს „განსამართლებაც“.

საბრალმდებლო სკამს ამშვენებდნენ ქალაქის უწინდელ-აწინდელნი მამანი: ა. ა. ივანენკო, თავ. ა. მ. არღუთაშვილი, ქ. ა. ვერმიშოვი, ე. ე. ხოსროევი და სახელით მათთანვე იყო აწ განსვენებული ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი, რომლის მემკვიდრეებმაც არ ისურვეს კანონის შეღავათით სარგებლობა, რათა განსვენებულის სახელისაგანაც-კი ყოველივე ჩრდილი განეშორებინათ.

ბრალდებულთა ბრალი და დანაშაული თითოდ, დაწერილებით იყო აღნიშნული მოთვლილი.

ყოველ ამ ბრალად ჩათვლილ „წვრილ[...] სათვის“ სასჯელთა დებულების მე-404, და 417 მუხლთა ძალით ბრალდებულთ, დამნაშავედ იქმნებოდნენ ცნობილნი, კან[...] სამსახურიდგან დათხოვნას უქადდა.

როგორც ვუწყით, სამი ბრალდებული [...] თა შორის — თავ. არღუთაშვილი და ბ-ნნი [...] ნენკო და ვერმიშევი ამ, დღეს სასამართ[...] მიერ განხილულ, საქმის დაწყებისათანავე სახურიდგან გადაყენებულ, ანუ, რაც სახ[...] ერთი და იგივეა, დათხოვნილ იქმნენ...

მაინც ამ „გასამართლებამ“ დიდი სარ[...] ლობა მოიტანა.

ჯერ ერთი, მან დაგვანახვა, რომ როგ[...] ჰქუხდა, ისე არა სწვიმდა.

მითქმა-მოთქმა, აურ-ზაური, ბრალდ[...] სამდურავი და ჩივილი ბევრი იყო; ცო[...] უყურადღებობა, უგულ-მოდგინება, უბეჯი[...] ბა, შეცდომა და დაუდევრობა მცირ[...] აღმოჩნდა.

ეს დაუდევრობანიც, ეს შეცდომანიც ის[...] იყო, რომლის მსგავსი ადამიანის ბუნ[...] სჩვევია—ადამიანნი ვართ და არავით[...] ადამიანური თუ ადამისეური არ გვეუც[...] ვების.

აღმოჩნდა, რომ ჩვენის „ქალაქის მამა[...] არც ისეთი „ბოროტ-მოქმედნი“ ყოფილ[...] როგორც ძალად გაბერეს და გააზვიადეს საქმე.

მეორე,—ჩვენნი „მამანი“ დარწმუნდნ[...] რომ იმის მოქმედებასაც დარაჯი ჰყ[...] დარაჯი მხნე და ფხიზელი, რომელიც მც[...] ნაკლსაც-კი დანაშაულად ჩაუთვლის და სა[...] ლავში ჩაუგდებს, გინა ცხვირზედ დააჭდევ[...]

ასეთს რწმუნებას, რასაკვირველია, გა[...] კეცებული სიფრთხილე მოჰყვება და სიფ[...] ხილეს-კი, მოგეხსენებათ, თავი არასოდეს სტკივა.

ერთის სიტყვით, ყოველივე საწადმართ[...] სწარმოებს და, მაშასადამე, მერმის იმედიაც უნდა მქონდეთ, თუმცა...

წყეული მთვარე მაინც დამცინავის ღიმილ[...] დასცქერის ტფილისის ოღრო-ჩოღრო ქუჩე[...] და ბნელაში ძნელად საპოვნელს ქალა[...] ანთებულს ფარნებს!..

ჩორა

# ᲓᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲐᲭᲘᲓᲒᲐᲜ.

[...] შემოდგომა დაუდგა წრეულს რაჭველე[...] აგერ სრული ექვსი კვირაა, გამუდმებით სწვ[...] და მისხდომში დაუძვრელი ადგილები მეწყერ[...] მიდის. ბევრგან გზები დაიქცა, ზოგიერთს [...] ფელში მისვლა-მოსვლა შეუძლებელი შეიქმ[...] ადიდდა მდინარეები და წაიღო ხიდები. ერთ[...] ერთი გზატკეცილი გვაქვს ქ. ქუთაისამდე, რ[...] მელზედაც ფოსტა მოდის კვირაში ორჯერ და [...] გზაც ისეა დაზიანებული, რომ ხშირად ფოს[...] გზაში სამი-ოთხი დღე რჩება.

უბედურს ფოსტალიონებს ყოველ-დღე სიკვდ[...] ლი მოელით ან მეწყერისაგან, ან წყლისა და [...] გორებულ ქვისაგან, მაგრამ ამათთვის არავინ ჰზრ[...] ნავს. ამას წინად ფოსტალიონმა ერისთავმა

---

გაშმაგებით ებრძვის აღვირ აწყვეტილი ნივთიერი ანგარება და ყმობასა და მონობას უქადის ეკონომიურად უძლურსა. თვითეული ჩვენისთანა პატარა ერი ელდითა და შიშით შეჰყურებს აწინდელს საეკონომიო თარეშობას და სცდილობს, თავიდგან როგორმე აიცილოს სხვის ბატონობა. კერძოდ ჩვენ თვითონ შინაც და მეზობლობაშიაც ბევრი საჭირ-ბოროტო ეკონომიური „სიავე“ მოგვეპოვება. ამის გამო საეკონომიო საკითხებსაც შესაფერი და სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს და ასეც მოიქცევა ჩვენი გაზეთი, თუმცა აქვე დავსძენთ, რომ მუდმივი და განუწყვეტელი ღაღადის, მრეწველობისა და აღებ-მიცემობის აღორძინებისა არ მიგვაჩნია ხალხისთვის ყოვლად გამკურნებელ წამლად და მალამოდ.

არა ერთხელ თქმულა და განმარტებულა, რომ ეგრედ წოდებული საეკონომიო მატერიალიზმი ცალ-კერძო და თავ-კერძო მოძღვრებაა და ჩვენთვის შეუსაბამო და შეუფერებელია. ზოგიერთებს ეს მოძღვრება შეუცდომელ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ. დეე, ამათ აუშენონ ტაძარი თავიანთ ჭეშმარიტებას. ჩვენ-კი ერის ეკონომიურს ცხოვრებას სხვაფრივ ვუცქერით. ეს ეკონომიური ცხოვრება სხვა და სხვა დარგისაგან შესდგება და არა მარტო მრეწველობისა და აღებ-მიცემობისაგან. ამიტომ ეკონომიური ცხოვრებაც, შეძლებისამებრ, მწყობრად, ორგანიებრივად უნდა იზრდებოდეს. აქ ხელმძღვანელად თვით ცხოვრება და სინამდვილე უნდა შეიქმნეს და არა განყენებული თეორია და გარედგან შემოტანილი მოძღვრება. თვით ეკონომიური სწავლაც როდია მკვიდრი და შეურყეველი მეცნიერება. ამ სწავლის თვითეულ დასკვნას და წესს მხოლოდ დროისა და ადგილის მიხედვით აქვს ძალა და მნიშვნელობა. ეგრეთვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხის ცხოვრება ექვემდებარება თავისს საკუთარს, ეგრედ წოდებულ ნაციონალურ ეკონომიასაც, რომელიც ისტორიის ნაყოფია და, მაშასადამე, ყველასთვის სავალდებულო. ხოლო ეს ნაციონალური ეკონომია გვამცნევს, ქართველი ერი უმეტესად მიწათმოქმედი ყოფილა და ახლაც მიწათ-მოქმედობის წარმატებას და გაუმჯობესობას უნდა მიაპყრას ჯეროვანი ყურადღება, თუ სურვილი აქვს დარჩეს „ერად ერთა შორის“. მაშ ცხადია ჩვენი საეკონომიო ადსარება: ეკონომიურ ცხოვრების არც ერთს დარგს ჩვენ კერპად არ გარდვიქცევთ და ვეცდებით ყველი შევუწყოთ მწყობრად ეკონოურ ზრდას...

თუ ერი ორგანებრივი სხეულია, მაშ აშკარაა,—თუ რა ძალა უნდა ამოძრავებდეს უმეტესად ამ სხეულს. ეს ძალა შინაგანი ძალაა, რომელსაც თაოსნობა და თვით-მოქმედება ეწოდება. არაფერი ისრე არ ასუსტებს და აღუნებს ერის ცხოვრებას, როგორც სხვის პირსა და ხელს შეყურება, თვით საპოლიტიკო მეცნიერებამაც დიდი ხანია უარჰყო ადმინისტრატიული და პოლიციური მზრუნველობა და ადგილი დაუთმო ეგრედ წოდებულ თვით-მმართველობას. ეს თვით-მმართველობა მეცნიერების საკვლევარ საგნად გარდაიქცა და დაარსდა საკუთარი მოძღვრება (ученіе о самоуправленіи), რომელსაც არა ერთი და ორი ბრწყინვალე მუშაკი გამოუჩნდა. კერძოდ ჩვენთვის ამ მოძღვრების მთავარ აზრს მეტად დიდი და თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ჩვენში თვითეული საყურადღებო და საზოგადო შინაური საკითხი სწორედ თაოსნობისა და თვითმოქმედების მიხედვით და მეოხებით უნდა განიჭოს და გარდაწყდეს.

ბოლოს ორიოდე სიტყვაც სამეზობლო ურთიერთობაზედ. ხშირად მოგვსვლია მეზობლებთან შეხლა საეროვნო საკითხების გამო და „კაცთა მძულვარება“ ხშირად უკიჟინებიათ ჩვენთვის. დიადი მცნება ძმობისა ჩვენთვისაც არა ნაკლებ ძვირფასია, მაგრამ საქმე ისაა,—ვინ არღვევს ამ მცნებას... ყველას თანასწორი უფლება აქვს არსებობისა და ვინც ამ უფლებას უარჰყოფს და სხვის „წმიდათა წმიდას“ ბიწიერის ხელით მწიკვლს სდებს, აი სწორედ იგი-ა კაცთა მძულვარი.

მთელი ჩვენი ისტორია მოწმობს, რომ ქართველი მეზობლისა და მოყვასის მოყვარული ყოფილა. რამდენი სისხლი დაუნთხევია ჩვენს რაინდულს ერს მეზობლების საოხად და საშველად! ჩვენი მატიანე ტყუილად კი არ მოგვითხრობს რომ კავკასიის მკვიდრნი ქართლოსის სისხლის და ხორცისანი არიანო. ჩვენი ისტორიკოსი ბატონიშვილი თეიმურაზი უსაბაბოდ კი არ ამტკიცებს, რომარი წინად მთელ კავკასიონის მცხოვრებნით ერთნი ვიყავითო... ეს ძმური ერთობა იმ თავითვე აქამომდე ქართველის გულში ღრმად უმარხია. ახლაც ასეთი ერთობა ჩვენს წადილსა და ოცნებას შეადგენს.

ნ. ურბნელი.

## ბიბლიოთეკის დაარსება.

როდესაც კაცთა ცხოვრებაში
მოხდება რამე შესანიშნავი,
როგორიც უნდა იყოს ეს „რამე“
დიდი თუ მცირე, კარგი თუ ავი,
მაშინვე ვკითხავთ ხოლმე ერთმანეთს:
—ნეტა სად მოხდა, რა ქვეყანაში?—
და პასუხადა გვესმის ყოველთვის:
ეჭვი არ არის,—ამერიკაში!—
ეს ხომ ასეა, მაგრამ ვადევნოთ
თვალი იმასა, რაც ჩვენში ხდება
და დავინახავთ, რომე სამშობლო
ჩვენი როგორღაც ამერიკდება:
მართლა და აბა სად ნახავთ სხვაგან
იმდენ საკვირველ აზრებს და პირებს,
იმდენს უცნაურს, წარმოუდგენელს,
იმდენს ფუქ-გოგრებს და იმდენს გმირებს?
თქვენ მიპასუხებთ, უეჭველია,
—რაღა თქმა უნდა მუზეუმშია!
რათა? სჯობია, ვგონებ, ვსთქვათ ასე:
ჩვენ საქართველოს შუა—გულშია!
შესავალისთვის ესეცა, კმარა,
ეხლა დავიწყოთ ჩვენი სიმღერა,
აკომპანიმენტს ტკბილსა გაგვიწევს
ჩემ გმირთა გულის სიმების ჟღერა.

***

ტფილისის ქალაქს, ვიწრო ქუჩაზე
ერთი სახლია რამ ამართული,
რომლის საცოდავს სხეულს შეადგენს
ყოვლად მახინჯი სამი სართული,
ადამის დროის, წელში მოხრილი,
ვით ბუმბერაზი ომში ძლეული,
დგას ეს შენობა ბევრგან დაჭრილი,
ღონე-მიხდილი, გამხდარ-სნეული.
ერთგანა საზღვრავს იმასა გუბე
ბორდო ფერისა, მწვანე ხავსებით
და სხვაგან ძველი ტალახი, ქუჩა
თავისი მცირეწლოვან სახლებით.
იქ ახლოს მტკვარი, ქურდივით ფრთხილი,
მიიპარება ჩუმი და ნელი,
თიხა-ნაგავში ამოგანგლული,
შენსავით, ქართლო, პირუბანელი!
მესამე სართულს რაღაც ამძიმებს:
მიეცა სევდას და მწარე ფიქრებს,
წინ წაიწია და მტკვრის ტალღებში
გულ-დაკოდილი სკუპსა აპირებს.

***

ამა მჭმუნვარე სართულში ერთხელ
ჩვენმა ქალებმა დანიშნეს კრება.—
ისტორიაში მოვლენა ესე
შთაიბეჭდება და არ გაჰქრება—
შეკრბენ ქალები... თითო ოროლა
მამა კაციცა მათში ერია...
ახ, ნეტა ქალთა გულის მეგობარს,
მერწმუნეთ, იგი ბედნიერია.
და ნამეტნავად თუ უცოლოა
და აქვს დიდრონი, შავი თვალები...

***

მაგრამ განვაგრძოთ. ბიბლიოთეკის
დასაარსებლად შეკრბენ ქალები.
მოგეხსენებათ ხალხი მდაბიო,
ხალხი ჩაგრული, ხალხი ბედკრული,
ზის უვიცობის ჭყვლიადში, საცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, გაათრია თავისი მეშის ხურჯინი ს. ტოლას ხიდზედ, რომელიც წინა დღით იყო ადიდებული წყლისგან ძალზე დაზიანებული და კიდევაც ჩაინგრა ხიდი. ამ რიგად ფოსტალიონი ცოტას გასწყდა, საშინელის სტიქიონის მსხვერპლი არ შექმნა.

სოფ. სორს ძველი ხიდი ამ ზაფხულსდაანგრიეს, ვითომ ახალი უნდა გაეკეთებიათ, მაგრამ ახალი ჯერაც არ გაუდვიათ. ეს მდინარეც ხშირად არის ხოლმე ადიდებული და დ. ონისკენ მიმავალი ყოველი მგზავრი საშინლად წვალობს, მაგრამ ამ წყალს ვერას გზით ვერ ასცილდება. საკვირველია სწორეთ ასეთი უყურადღებობა! ეს დალოცვილები ხომ ვერც თვითონ ასცდებიან ამ გზას! სხვისთვის თუ არა ჰზრუნავენ, თავისი თავი მაინც აღარ ებრალებათ?

ამას წინედ ვიღაც სორელს კაცს ორი ფიცარი გაედო წყალზედ და გამვლელ-გამომვლელს თითო შაურს ახდევინებდა, ჩვენი გზატკეცილის ინჟინერს-კი არხეინადა სძინავს ქუთაისში, ჰგონია, როგორც იქ დაბრძანდება ქვაფენილზედ, რაჭაშიც ისეთი გზები იყოს. მაინც ეს ხიდები რომ დაანგრია, რათ არ იცოდა, რომ მაგიერის გადება იყო საჭირო.

უგზოობა და უხიდობას კიდევ მოვითმენთ, მარამ, ვშიშობთ რაჭველები, ვაი თუ ამტელს რომ ახლა სწვიმს, ზაფხულისათვის აღარ დაგვრჩეს ნამი, გვალვა დაგვიდგეს.

მთელს რაჭის მაზრაში ირიცხება 80,000 კომლი მცხოვრები, რომელსაც ამ მეოცე საუკუნეში აბადია სულ ორი სამკითხველო! მაგრამ, ესაც რომ არა გვაქვს ჩვენ უბედურებს! არ წაწყდეს მამიჩემის სული და არ გამიწყრეს მრავალძლის წმიდა გიორგი, ველიეთი და ციხისა, მართალს მოგახსენებთ: ამბროლაურის სამკითხველომ ამ ოთხის წლის წინედ განისვენა ნამდვილადა და შიგ ახლა თაგვებმა ერთი ათად იმატა, თუ წიგნები არ შემოაკლდათ საჭმელათა და ბადეებათ! თუ ოდესმე გაადებენ ხოლმე სამკითხველოს, ხალხის მაგივრად შიგ მყოფი თაგვები თუ მოგვითხრობენ, რაც ამ ოთხს წელიწადში წაუკითხავთ სამკითხველოში, თორემ სხვამ არა იცის-რა ამისა.

რაც შეეხება ონის სამკითხველოს: ისე წავიდა შენი და შენის დამწყევარის საქმე; ჩემო მკითხველო, როგორც მისი საქმე მიდიოდეს. ნახევარჯერ კი არა, ვგონებ, სულაც დაკეტილია და, როგორც ეტყობათ, წიგნებიც არ უნდა ჰქონდეთ სამკითხველოში. ამას წინედ თვითონ შიგ მოსამსახურე კაცმა მითხრა, სამკითხველოში „ვეფხის-ტყაოსანი“ ვერ ეპოვნა, მე მთხოვა. საკვირველია სწორედ, ქართული სამკითხველო და „ვეფხის-ტყაოსანი“ არ იყოს, მაშ სხვა რაღა უნდა იყოს?! სჩანს, ისიც ამბროლაურის სამკითხველოს გზას ადგია. სამწუხაროა, მაგრამ რა მოეწყობა, მადლობა ღმერთს, თუ შემდეგში მაინც უკეთესობა როგორმე დაეტყობა.

ვანო ქიქინაძე

# ნარკვევი

როგორც ჟურნალ „მოგზაურის“ მე-XI ნომერში დაბეჭდილ წერილიდგან „ბორჩალოს მაზრა“ სჩანს, ჩვენის მეზობლების ზოგიერთნი წარმომადგენელნი კიდევ თურმე არა სცხრებიან და, სხვისა ქონების დასაკუთრებით წათამამებული, ბიწიერს ხელს ერის წმიდათა-წმიდას, ერის ისეთს საკუთრებასაც ახებენ, რომელით ცისა და დედამიწის წმიდა სამართლით ყველგან ხელ შეუხებელია. მოგვყავს ამ წერილიდგან ორი ადგილი, რომელიც ჩვენის მხილების სამართლიანობას უთუოდ ჰმოწმობს:

ახალშენს მარცხნივ აკრავს მაღალი გორა, ზედ პატარა ძველი დანგრეული ეკლესიით, რომელსაც ახლა „ელი ბაბას“ უწოდებენ. მის დღეობას ქართველები დღესასწაულობენ მეორე კვირას წმ. აღდგომისა, ხოლო ბერძნები, რომლების სიტყვით, აქ ძველის-ძველათ წმ. წინასწარმეტყველი ილიას ეკლესია ყოფილა, დღესასწაულობენ 20 ივლისს. ხატობის დღეს აქ იკრიბება მრავალი ბერძენი სოფ. წალკიდან, წინწყაროდან და სხვა მხრიდანაც. ამ ოთხი წლის წინეთ, აქაურ „ტერტერებს“ სდომებიათ ამისი დაჩემებაც, მაგრამ ბერძნებს, როგორც გაიჭერა ხალხს, მკლავი უხმარიათ და ტერტერები ამ ვეება გორის წვერიდან მდ. მოშავერამდე ტყაპა-ტყუპით ჩამოურეკიათ. ახალშენს შუაზე ჩამოურბის მდ. მოშავერი; ელი-ბაბის მთის ძირას, მარჯვნივ, თაფანის მთაზე არის კიდევ ძველი ეკლესია; იგი და ელი-ბაბა გაჰყურებენ ერთმანერთს და როგორც ამ თაფანის ეკლესიის კედლებს, ისევე ს. სამწვერისისა და ხატისოფლის წმ. გიორგის ეკლესიებისას. ძველი წარწერანი აღარა ეტყობა-რა, ხოლო, ზოგ ალაგას, ეშმაკობით ახლად ნაჩიჩქნია სომხურად“.

ეს ერთი, და მეორეც ამაზედ არა ნაკლებ მოლაღადე შემთხვევა:

„ადალშენიდგან რომ გაემგზავროთ დასავლეთისაკენ მამავერის ხიობაზე გზა ტკეცილით, ორ ვერსზე კიდევ ვენახებია, მესამე ვერსზე-კი, მარჯვნივ მთის ძირში, დაინახავთ პატარა სოფელს, რომელშიაც სცხოვრებს 26 კომლი ქართველი და 7 სომეხი. შუა გორაკაზე სდგას პატარა, მაგრამ ფრიად კოხტა ეკკლესია სამ გუმბათიანი, ჯვარის სახის გეგმაზედ. აი, ეს სოფელი გახლავთ რატევანი. ეს მამული სოფელითურთ ძველად ყოფილა თავ. ბარათაშვილისა. ოდეს მას მოუწადინებია გაყიდვა თავის მამულისა, იგი ვიღაც ფითოევს უყიდნია. მამულის ყიდვისათანავე ეკკლესიის კანკელი მოუშლია, დაუდგამს სომხური და უკურთხებინებია იგი სომხურად. მერე ეს მამული უყიდნია ბ. მანთაშევს და დღესაც მის საკუთრებას შეადგენს. როდესაც თ. ბარათაშვილი გარდაცვლილა, იგი ამ ეკკლესიაში დაუმარხავთ და ძეგლიც დაუდგამთ. ეს ეკკლესია რომ ნამდვილად ქართველების იყო და ფითოევმა გადააკეთებინა და აკურთხებინა სომხურად, ამას ჰმოწმობენ არა მარტო ქართველები, რატევანში მცხოვრებნი, არამედ თვით სომხებიც ამაზედ არის ოქმი შედგენილი 1900 წელს 15 გიორგობას და წარდგენილია მთავრობასთან“.

და ამის შემდეგ კიდევ კაცთა სიძულვილს გვიკიჟინებენ, თუ ვიტყვით, რომ საქციელი იმ ვაჟბატონებისა დასაგმობიაო!?..

# რუსეთი

— როგორც ხმა დადის, საუნივერსიტეტო რეფორმის საგანს სახელმწიფო საბჭო მალე თურმე განიხილავს. რაც შეეხება საშუალო სკოლის განზრახულ ცვლილებათ, ეს თურმე 1902—1903 წლის დამდეგამდე არ იქნება განხილული, ვიდრე საჭირო მასალას ჯეროვანადა და სავსებით არ შეიმუშავებენ და შეკრებენ.

— ფინანსთა სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი დებულებისა, რომელსაც აზრადა აქვს სატეხნიკო და სამრეწველო სახელოსნოები დაარსოს, რომლიდგანაც საფაბრიკო-საქარხნო წარმოებისათვის შესაფერად მომზადებული მუშები გამოვლენ. სახელოსნოებს, სხვათა შორის, აზრად ექმნებათ გაავრცელონ სხვადა სხვა გვარი სატეხნიკო-სახელოსნო ცოდნა და სხ.

— როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ შეკრებულ ცნობებიდგანა სჩანს, ამ ბოლოს ხუთის წლის განმავლობაში კერძო კაცებისა და საზოგადოებათა ფულით დაუარსებიათ 42 საკომერციო სასწავლებელი, 30 სავაჭრო სკოლა, 26 სავაჭრო კლასსი და 21 საკომერციო ცოდნათა კურსი, რომლებშიაცა სწავლობს, 20,264 მოსწავლე. ყველა ამ სასწავლებლებზედ წლიურად $2^1/_2$ მილიონი მანეთი იხარჯება ამ ჟამად.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროს დიდ-ძალი თესლი შეუკვეთნია საზღვარ-გარეთ, რომელსაც იანვარში თურმე გაუგზავნის რუსეთის სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და კერძო მემამულეთ საცდელადა.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ამ ჟამად განსახილველად წარდგენილი აქვს საგანი, რომ გლეხებს ნება მიეცეს სამინისტრო და საეკკლესიო ადგილების შეღავათიანის პირობებით იჯარით აღებისა.

— რუსეთის სავარსკლავთ-მრიცხველო საზოგადოებაში ლაპარაკია აღძრული რუსეთის მთიანს ადგილებში სავარსკლავთ-მრიცხველო ობსერვატორიები დაარსონ.

— გზათა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ რკინის გზის ვაგონების ექვს-ადგილიანი კუპეები ოთხ-ადგილიანებად გადააკეთონ.

— გარდაუწყვეტიათ სამგზავრო ბილეთების იოქმედებისა ვადა შეამცირონ.

— როგორც უწმინ. სინოდი განმარტავს, სოფლის მრევლში ეკკლესიის მნათეს ნება თურმე არა აქვს იმავე დროს სასმელების დუქნის დახლიდრად იყოს.

—- საბაჟო დეპარტამენტს განკარგულება მოუხდენია, რომ საზღვარ-გარეთიდგან შემოტენა პაწია საბრელოკო დამბაჩებისა აღკრძალულ იქმნეს.

— სხვა-და-სხვა გადამდებ სენის წინაალმდეგ ხაზინას წარსულ წლის განმავლობაში დაუხარჯნია სულ 910,000 მან. აქედგან შავი ჭირის წინაალმდეგ 790,000 მან და 120,000 მან. იმის წინაალმდეგ, რომ კავკასიაში ხოლერა არ შემოეტანათ.

— ფინლიანდიის „ელემენტალურს“ (საშუალო) სასწავლებლებში რუსულის ენის შემოღების შესახებ დაუდგენიათ: 1) შეადგინონ ახალი გეგმა სასწავლებლისა, რომელშიაც რუსულის ენის გაკვეთილებს მეტი ადგილი ექნებათ დათმობილი; 2) კერძო სასწავლებლებს სახაზინო სუბსიდია, ამ საფინანსო პერიოდის გასვლამდე (1904 წლამდე) დაენიშნოთ მხოლოდ; 3) სახაზინო სუბსიდია მოესპოთ ადრეც, თუ რომ სასწავლებლებში ახალი გეგმის მიხედვით არ იქნება რუსული ენის სწავლება შემოღებული.

— სამკურნალო დეპარტამენტი იუწყება, რომ საჭიროდ უცვნია ციმბირისა და საშუალო აზიის გუბერნიებსა, აგრეთვე კავკასიაში, 1-ლ იანვრიდგან 1902 წლისა 1899 წლ. გამოცემული სააფთიაქო ნიხრი იქმნეს შემოღებული. აღნიშნულს ადგილებში დღემდის 1892 წელს გამოცემული ნიხრი ჰმოქმედებდა.

— უწმ. სინოდი მომავალის წლისათვის $3^1/_2$ მილიონზედ მეტს სესხს თხოულობს პირველ დასაწყის სახალხო განათლების საჭიროებისათვის. ამ ჟამად თავენი ვალი ოსმალეთისა 247 მილ. მან.

— წარსულის 1900 წლის განმავლობაში სამხედრო კონტრიბუციის ანგარიშში სახელმწიფო ხაზინას მიუღია ოსმალეთისაგან 5000000 მან. ამ ჟამად თავნი ვალი ოსმალეთისა 246 მილ. მან. თურმე შეადგენს.

— საპატიმროებთან განზრახულ სკოლებისა და კითხვების წესების შემუშავებას უკვე შესდგომიან.

# უცხოეთი

**სამხრეთ-აფრიკის ომი.** „ახალი ჯარი უნდა გაიგზავნოს სამხრეთ-აფრიკაში ბლოკჰაუზებისათვისაო“, ერთხმად გაიძახიან მთავრობის მომხრე ინგლისური გაზეთები. ეს რამდენიმე ხანია ინგლისელნი ხსნას და შველას ამ „ბლოკჰაუზებისაგან“ მოელიან. „ბლოკჰაუზები“ პატარ-პატარა სიმაგრებია, სადაც ჯარებია ჩასაფრებული. ინგლისელებს აზრადა აქვთ ასეთის ბლოკჰაუზებით მოჰფინონ ტრანსვაალ-ორანჟე და ამ საშუალებით ბოლო მოუღონ ბურთა მცირე რაზმების თარეშობას. მაგრამ ამისათვის დიდ-ძალი ჯარია საჭირო, კიტჩინერს კი სულ 45,000 ჯარის კაცი ჰყავს დანარჩენი ჯარი სამოქმედოდ ვერ მოიცლის, რადგანაც ქალაქებს, სიმაგრეებსა და რკინის გზებს სდარაჯობს. მაშ საიდგან მიაშველებს ინგლისი ახალ ჯარს? თვით ინგლისელნი ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ ამის შესახებ, მაგრამ ხსნას ვერსად პოულობენ. ინგლისელთა გაჭირვებას აორკეცებს ბურების გამარჯვება, რომელიც ამ ბოლოს დროს როგორღაც ხშირ ამბად გადაიქცა. ამას წინად, მაგალითად, ლუი ბოტას პრეტორიისა და მიდდელბურგის მახლობლად ძალიან დაუმარცხებია ინგლისელნი. ამ უკანასკნელთ დიდი ზარალი მოსვლიათ ბრძოლაში. მოუკლავთ, დაუჭრიათ და ტყვედ წაუყვანიათ 3 ინგლისელი გენერალი და 2,000 აფიცერი და ჯარის-კაცი. სხვა ადგილებშიაც უღალატა ბედმა ინგლისელებს. ბათმა ჯარმა უკვე მიაწება თავი რუსტენბურგს, რომელიც პრეტორიიდგან 90 კილომეტრის მახლობლად მდებარეობს. ამ ადგილებში დელარეისა და კემპის რაზმები დათარეშობენ. დასასრულ, არც დაუღალავ დევეტსა სძინავს. ჰეილბრონის მახლობლად დევეტს კინაღამ ტყვედ ჩაუვარდა უილსონის მთელი რაზმი. ბურები ოთხივ მხრივ შემოერტყნენ ინგლისელებს. ბევრის ტანჯვის შემდეგ ინგლისელებმა მხოლოდ მაშინ დააღწიეს თავი დევეტის ბრჭყალებს, როდესაც რიმინგტონმა თავისი ჯარი მიაშველა. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ამბები მხოლოდ ეხლა გამოაშკარავდა, აქამომდე-კი მამაცი ინგლისელნი ყველა ამას საიდუმლოდ ინახავდნენ. საიდუმლოდ ინახავდნენ აგრეთვე კლიპრივერთან ინგლისელების დამარცხების ამბავს. ეს ამბავიც ეხლა შეუტყვიათ ამსტერდამში. აქაც დევეტი ყოფილა მიზეზი დამარცხებისა. დაწვრილებით არაფერს იუწყებიან, მაგრამ ამბობენ-კი, რომ დამარცხება ინგლისელებისა ძლიერი იყოო.

— „Daily Nevs“-ში დაბეჭდილია დიდი წერილი სამხრეთ აფრიკის ბავშვთა და დედაკაცთა „ბანაკების“ შესახებ. როგორც ამ წერილიდგანა სჩანს, დიდძალი ხალხი იხოცება თურმე ამ ბანაკებში. აი ციფირები. ორანჟეს ახალშენის „ბანაკებში“ დახოცილა:

| | ბავშვი. | მოზრდილი. |
|---|---|---|
| იანვარში . . | 28 | 12 |
| თებერვალში . . | 37 | 25 |
| მარტში. . . | 86 | 33 |
| აპრილში . . | 102 | 53 |
| მაისში . . . | 218 | 117 |

ორანჟე-ტრანსვაალში:

| | ბავშვი. | მოზრდილი. |
|---|---|---|
| ივნისში. . . | 822 | 323 |
| ივლისში . . | 1,342 | 367 |
| აგვისტოში . . | 2,134 | 567 |
| სექტემბერში . . | 1,938 | 443 |
| ოქტომბერში . . | 2,561 | 514 |
| ნოემბერში . . | 2,200 | 533 |

ამ რიგად სულ ბანაკებში 14,000 კაცი მომკვდარა!

**ინგლისი.** ინგლისში ხმა დადის თურმე, რომ მალე პრემიერის ადგილს, სალისბიერის ნაცვლად, დევონშირის ჰერცოგი დაიჭერს, როზბერი გარეშე საქმეთა მინისტრად იქმნება დანიშნული, ხოლო ჩემბერლენი მთავრობის დასის ლიდერად საზოგადოებათა პალატაშიო.

— დიდის სიხარულით მიეგება ლორდ როზბერის სიტყვას ლიბერალ-იმპერიალისტი ასკიტი. ამ გაჭირვების დროს, უთქვამს ასკიტს, როზბერის საპოლიტიკო ასპარეზზედ დაბრუნება მეტად სასიხარულო მოვლენას წარმოადგენს. მე სიამოვნებით უერთდები როზბერის პოლიტიკას: იგი არ არღვევს არც ერთ პრინციპს, რომელსაც უნდა ემსახუროს ლიბერალიო. უკეთეს იზამდა ასკიტი, რომ ეთქვა: არ არღვევს არც ერთ პრინციპს, რომელიც ლიბერალ-იმპერიალისტებმა გაიხადეს პროგრამადაო, რადგანაც როზბერის ახალი პროგრამა ლიბერალ-იმპერიალისტებისას უფრო უახლოვდება, ვიდრე ლიბერალებისას.

**გერმანია.** როგორც გერმანული გაზეთები გადმოგვცემენ, სამხრეთ-აფრიკის ომის გამო ვესტფალიის მრეწველობა დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა. დიდ-ძალ ვესტფალელ მექარხნეთათვის ომის დაწყებამდე შეუკვეთნიათ სამუშაოები სამხრეთ-აფრიკელ კაპიტალისტებს, მაგრამ ეხლა დამზადებულ საქონლის გაგზავნა აღარ შეიძლება თურმე ინგლისის ნება-დაურთველად.

— ბერლინის პოლიციას უცნობებია ადგილობრივ პოლონელთა საზოგადოებებისა და კლუბების უფროსებისათვის, ამიერიდგან საზოგადო ყრილობებზედ ბერლინში მხოლოდ გერმანულ ენაზედ შეგიძლიანთ ლაპარაკი და სიტყვების წარმოთქმაო.

— ვრეშენელ ბავშვების მაგალითს პოზნანიაში მრავალი მიმბაძველი აღმოსჩენია. ეხლა ბევრს სკოლაში პოლონელი ბავშვები უარს უცხადებენ მასწავლებლებს, გერმანულად სამღვთო სჯულის გაკვეთილს ვერ მოგიგებთო. ბავშვები პირჯვარსაც-კი აღარ იწერენ, როდესაც ლოცვას გერმანულად კითხულობენ. ამას წინად მასწავლებელს ერთ სკოლაში უბრძანებია, გერმანულად იგალობეთ ლოცვაო, მაგრამ ბავშვებს პოლონურად დაუწყვიათ. ძალით ვერაფერი გაუწყვიათ გერმანელებს.

**ავსტრია.** კრაკოვში დიდი მიტინგი ჰქონდათ პოლონელ დედაკაცებს. მრავალის სიტყვებისა და მოხსენებების შემდეგ, მიტინგმა მიიღო რეზოლიუციები, რომლებშიაც უმთავრესად ჰკიცხავენ გერმანელებს პოლონელთა დაჩაგვრისათვის. ამას გარდა დაადგინეს, ბოიკოტი გაუწიონ და აღარ შეიძინონ პრუსიიდგან მიტანილი საქონელი და მოსპონ ყოველივე კავშირი პრუსიელებთან. დაადგინეს აგრეთვე, დააარსონ პოლონელთა საერთო კავშირი საერო ინტერესების დასაცველად. დასასრულ მიტინგმა გადასწყვიტა მიჰმართოს პოლონელ დეპუტატებს და დახმარება სთხოვოს მათ.

— ბოიკოტს უკვე შეუდგნენ პოლონელნი. ერთ ჰამბურგელ წიგნის გამომცემელ ფირმას, „არნოლდს“ კატალოგები დაუგზავნია თავის მუშტრები-

---

მას უღონდება საბრალო გული.
ჩვენ უნდა მივცეთ ხალხს განათლება,
მას უნდა შველა და დახმარება,
მას უნდა... ერთი სიტყვითა ისა,
რასაც დაადგენს ეს ჩვენი კრება...

* * *

კრებაზედ ვნახეთ მადამ ტვინთხელი,
ქვრივი ცნობილი, მეტათ მოძრავი,
თაფლივით ტკბილი, მდაბალი, ჩვილი,
მხოლოდ ხანდახან გველივით ავი.
ოდესღაც იგი იყო შემკული
ყველაფრით, რაც-კი გვიღელვებს ჩვენ გულს,
რაცა ყოველთვის შურს თვით ბუნებას
და რაც სიცოცხლეს უმშვენებს სულ-დგმულს:
მთლად თეთრ-წითური, ნაზი ვითია
და მშვენიერი ვით ანგელოზი,
[illegible]ყო მიმზიდველ, ვითა სატანა,
მანკო ვითა... ვით დეკანოზი!
[illegible]ღილობის გამო, მკითხველო,
სხვა ღირსებას აქ არ ვეხები,
[illegible] ისიცა რომ მადამს ჰქონდა,
ოდესღაც მეტად კოხტა ფეფები
მაგრამ უბედო, უმადურის დროის
მეტად მძიმეა სასტიკი ხელი!
ვერ ვინ წაუვა ამ ბებერს ოხუნჯს,
გინდ იყოს ის თვით—მადამ ტვინ-თხელი!
დღენი წარვიდნენ... დაეჭკნა სახე
და დაემზგავსნენ ნიჩბებს ხელები,
ლაწვები იაფ-უმარილისგან [illegible]
გახმენ, გათეთრდნენ, ვითა [illegible]დლები.
ფეფები, რომელთ თაყვანსა [illegible]ცემდნენ
ვაჟ-კაცნი ახალ-გემოვნებისა,
გადიდ-გამსხვილდნენ, აღარა ჰგავდნენ
ნაწარმოებსა ხელოვნებისა.
დღენი წარვიდნენ... არვინ სახავდა
მას თვის ნუგეშად, ვარსკვლავ-იმედად...
რა ექნა მადამს? ადგა, შეიქნა
იგი მოღვაწედ და ქველ-მოქმედად!
და.... და ვერიდამ ნავთ-ლუღლამდინა
გავარდა მალე მისი სახელი.
დავიწყებული იქმნა მადამის
წარსული, ცოტა არ იყოს, ბნელი...

* * *

იქ გახლდათ თაფლო ქიმიაძისა,
კნეინა მძიმე, ჩასუქებული,
ვითა კამეჩი წყალში მწოლარე
დინჯი და მშვიდი, ქვრივი ქებული.
ესეცა იყო ოდესღაც ვარგი:
ჰქონდა ლამაზი ცხვირი, თვალები
და აქა-იქა, სახის საზღვრებში,
შავი მეჭეჭნი, ანუ ხალები.
ჩვენში ჯერ ემანსიპაციაზედ
არვის არა რა გაუგონია,
თანასწორობა არ იშვა ქვეყნად—
ქალი ჯერ არვის აუწონია—
რომ თაფლომ თავის გულჩვილ „ნახევარს“
გამოუცხადა „განხეთქილება“,
რომ ააყვავეს ქმრის მჭკნარი ყბები
ნაზის არსების მწვავე სილაებმა,
რადგან ყოველთვის და ყველაფერში
ქმარი მართალი იყო, ვით ზეცა.
თაფლომაც იგი გაგზავნა იქა
განისვენებენ მართალნი საცა!....
აწ მოღვაწეობს და ქველმოქმედობს:
მართავს კონცერტებს, სპექტაკლებს, ბალებს,
ბევრს ლაპარაკობს კარგ საქმეებზედ
და... აბინავებს ვაჟებს და ქალებს.
სწირავს „ბაზრისთვის“ გარდეროპიდამ
შლაპებსა, კაბებს, ბალიშ-მუთაქებს,
სძულს ჭირივითა მადამ ტვინთხელი
სდევნის იმასა, ვინც ამ ქვრივს აქებს.
ბაბო ჰფარველობს სახელოსნოებს,
ბიბლიოთეკებს, არისტოკრატებს,
ღარიბ-ღატაკებს, პოეტებს, ობლებს
და ნამეტნავად ხატაურ კატებს!

* * *

იყო ვერაცა არამკითხაძის,
ქალი ნაკითხი მეტისა მეტი,
ჯერ ახალ-გაზდა, მარილიანი
და მჭერმეტყველი ვითარცა ყბედი.
ყველა საგანზედ, თვით უხილავზე
მას შეუძლიან სჯა და ბაასი,
და ვერას ქმარი იმ აზრისაა,
რომ ცოლის აზრებს არა აქვს ფასი.
ოთხი შვილი ჰყავს ვერას: ვახტანგი,
ერეკლე, თამარ და ქეთევანი,
შარშან წინ ერთი შვილი მოუკვდა,
რომელსაც ერქვა, ვგონებ, ლევანი.
აქედამ დასკვნა: პატრიოტული
გრძნობაც ბუდობდა ვერას ნაზ გულში,
თუმც მის ოჯახში ქართულს სწავლობდნენ
ხოლო კაჭკაჭი და თუთიყუში,
ისიც ლანძღვასა.... მაგრამ ვისწრაფოთ
თორემ მკითხველსა წაუვა გული,
თორემ ქართლელი აპირებს ხვრინვას,
ჰქავს იმერი, გრგვინავს გურული.

* * *

იქ იყო (წინედ გვინდოდა გვეთქვა!)
დიასახლისი იმ სართულისა:
ხორცი და სული——ორივე სრული,
მრგვალი დიაცი კარგის გულისა.
ჩუმი და ჩვილი, მშვიდი და წყნარი,
„ზორბად“ მჭამელი და ზორბად მსმელი,
ის გახლდათ იმით შესანიშნავი
რომ იყო ძლიერ კარგი მსმენელი.
იქ იყვნენ.... ჩვენი ნორჩი ქალებიც
ქართველნი სახით და გვარებითა
და უცხოელნი ენით, პრანჭვითა,
ახირებულის გემოვნებითა.
ჩემი ღარიბი ენა ვერ ასწერს.
მათ სილამაზეს, მათსა ვრაციას,
მას ვიტყვი მხოლოდ, რომ შეადგენ[illegible]ნენ
ისინი კრების დეკორაციას.
მათ შორის იყო ერთი თუ ორი,
რომელთაც ედოთ პირში ენაცა,
შეეძლოთ კაცის გარეგნობაზე
გრძელი ბაასი, გრძელი წერაცა.
აქ კი, კრებაზედ ყველანი ისხდნენ
თავ მომწონეთა, წყნარის ღიმილით,
ისხდნენ მაგრათა, საშინლები
„ღრმა აზროვნულის“ რაღაც დუმილით.

* * *

კაცთ შორის იყო ჩვენი ძეხვაძე,
ელიზბარისა შვილი ილია,
რომელზედ ერთმა ნაცნობმა მკითხა
„ბუჰგალტერია თუ შეშლილია?“
ილიას მცირე თავი, შემკული
ხოლო წინა და უკან თმებითა
ვით დაბადების წიგნი, სავსეა
ძველის აზრებით და სიტყვებითა.

* * *

მის გვერდით იჯდა ფხუკუშვილიცა
არც თუ ყაჩაღი, არც თუ მგოსანი,
ლხენა—იმედი ბებერ ქალწულთა,
ყარაბაღული . . . ულვაშოსანი!
გამოგდებული გიმნაზიიდამ,
(საცა სწავლობდა ბეჯითად კრივსა)
ბევრი ჩოხა და ჩექმა გაცვითა
და გადააწყდა ბოლო დროს ქვრივსა.
ეხლა შეცვალა ჩოხა სერთუკად,
ფაფახი დიდრონ „ბურულ“ ქუდათა,
„ჩოხოსნად“ ეხლა არვინ აგინებს,
არვინ ახსენებს იმას ცუდათა,
რადგან ქალების უკან დევნაში
გამოიჩინა დიდი მხნეობა,
რადგან „ბულვარზე“ და ჩვენს თეატრში
მან შეითვისა „მიჯნურთ ზნეობა“. . . .
იქ იჯდა ვიღაც კოლია ღრეჭაძე,
ცნობილი როგორც დიდი ოხუნჯი,
ვითა ეშმაკის კისერი შავი,
ვით „ოქრომჭედელთ“ ქუჩა მახინჯი.
ის დასცინოდა ყველას, ყოველთვის,
უფრთხილდებოდა ხოლო თავის „მეს“,
და ამ სიცილში იმან წააგო
მამულ-დედული ერთს მშვენიერ დღეს.
ასე, მკითხველო!.. ამ სიმპატიურს
კრებას დაესწრნენ სხვა კაცებიცა,
რომელთ სხვა და სხვა ღირსებათ გარდა
ჰქონდათ თავზედა... დიდი რქებიცა!

კ. მაყაშვილი

(შემდეგი იქნება.)

სათვის. პოლონელთ ეს კატალოგები უკანვე დაუბრუნებიათ ასეთის წარწერით: „ვრეშენი“.

**ამერიკის შეერთებული შტატები.** თუ გაზეთებს დავუჯერებთ, ამერიკაში განუზრახავთ მშვიდობიანობა ჩამოაგდონ კაპიტალისტთა და მუშათა შორის. ამ აზრით გაუმართავთ კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ მდიდარ მრეწველთ, ტრესტების წარმომადგენელთ, მუშათა კავშირების მეთაურებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, სწავლულებს, ქველ-მოქმედთ. ორის დღის თათბირის შემდეგ გადაუწყვეტიათ, აარჩიონ 35 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უმაღლეს სამედიატორო სასამართლოს მაგიერობა უნდა გასწიოს მუშათა და სამუშაოს გამცემთა შორის დავის ატეხის დროს. კომისია უმთავრესად უნდა ეცადოს მუშათა შეთქმულებების თავიდგან აცდენას. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნა 12 მუშა, 12 კაპიტალისტი, — ამათ შორის სენატორი განნა, მილიონერი როკფელლერი და უმდიდრეს ტრესტის თავმჯდომარე შვაბი, — და 12 ნეიტრალი, რომელნიც არ ეკუთვნიან არც ერთს და არც მეორე კლასს. ამ ნეიტრალთა შორის არიან: პრეზიდენტად ყოფილი კლეველენდი, არქიეპისკოპოსი აირლანდი, ეპისკოპოსი პოტტერი და სხვანი. გააწყობს რამეს თუ არა ეს კომისია, მომავალი გვიჩვენებს.

# ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრეფილი ამბები.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ლი-ხუნ ჩანგის საფლავი 325 ათასი ფრანკი დამჯდარა თურმე. კუბო, რომელიც ლი-ხუნ-ჩანგს სიცოცხლეშივე დაუმზადებია, ოქროთი და ძვირფასის ქვებით ყოფილა მორთული. რადგანაც მემკვიდრეებს ეშინოდათ, საფლავი არავის გაეთხარა და კუბო არ მოეპარა, განსაკუთრებული დარაჯი დაუყენებიათ.

*
* *

როგორც გამოანგარიშებულია, ოსმალეთის უკანასკნელ 35 სულთნის მეფობის დროს სულ 200 დიდი ვეზირი დაუნიშნიათ, ასე რომ თითო სულთანზედ 7 ვეზირი მოდის. აქედგან 24 ვეზირი ჩვეულებრივის სიკვდილით მომკვდარა, 36—საჯაროდ დაუსჯიათ, დანარჩენთაგან ზოგი უკვალოდ დაკარგულა, ზოგს თავი მოუკლავს და ზოგიც საიდუმლოთ მოუწამლიათ. ერთი ვეზირი თანამდებობას მხოლოდ 4 საათი ასრულებდა, მეორე 10 წუთი.

*
* *

ყველაზედ მნიშვნელოვანი საკვები ადამიანთათვის პური, სიმინდი ან კარტოფილი-კი არა ყოფილა, როგორც ბევრსა ჰგონია, არამედ ბრინჯი. ბრინჯით კაცობრიობის ნახევარი იკვებება. ორს დიდად და მჭიდროდ დასახლებულს ქვეყანაში— ჩინეთსა და ინდოეთში ხალხი მხოლოდ ბრინჯით იკვებება.

## სასამართლოს მატიანე.

ტფილისის ქალაქის გამგეობის გასამართლება.

(გაგრძელება *)

თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის დამცველმა ნაფიცმა ვექილმა ბ-ნმა ტისლენკომ თითქმის $2\frac{1}{2}$ საათი ილაპარაკა. ბ-ნი ტისლენკო კვალ და კვალ შეუდგა ბრალმდებლის სიტყვის გარჩევას და ბრალდებათა უსაფუძვლობის დამტკიცებას. დასაწყოვებით ბ-ნმა ტისლენკომ სთქვა შემდეგი: შეუდგები რა გარჩევას თავ. არღუთინსკის ბრალდებისას, არ შემიძლიან, არ აღვნიშნო მეტად უხერხული კილო ბრალმდებლის სიტყვისა. მბრალმდებელმა დივერტისმენტად ჩასთვალა მოწმეთა ჩვენება, მაშინ, როდესაც ამოდენა ხალხმა გულ-წრფელად ილაპარაკა და ეცადა ჭეშმარიტების გამორკვევას. საბრალმდებლო აქტში აღნიშნულ სასჯელთა დებულების მე-411 მუხლით თავ. არგუთინსკის დაუდევრობა ჰმართლდება. ვნახოთ რამდენად მართალია ეს? ქალაქო დებულების მე-95 მუხ. აზრით ქალაქის თვით-მართველობას ვალად ედება გადიდება-კი არა ქალაქის მეურნეობისა, არამედ მისი გაუმჯობესობა. აი ამიტომ არის საჭირო „ბრწყინვალე“ მოხსენებანი. თავ. არგუთინსკიმ იმსახურა 2 წლიწადი ქალაქის გამგეობაში და ამ ხნის განმავლობაში გამგეობას და ქალაქის საბჭოს წარუდგინა 35 მოხსენება, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალ საჭირო დაწესებულებისა და მეურნეობის გამაუმჯობესებელ განკარგულების განხორციელება. თავ. არღუთინსკი რომ წვრიმალ ქაღალდებსა და საქმეებს გამოსდგომოდა, ნეტა რას იტყოდნენ ის მცხოვრებნი, რომელთაც ახლა მშვენიერი და მოხერხებული სამკურნალო აქვთ; რას იტყოდნენ ქალაქის მკვიდრნი, [illegible] ხორცის მაგივრად, როდესაც ნაძიძგნ და უვარგის ხორცს რომ აწვდიდნენ თავ-გასულით ფასებში და სხვ. აი ამ მოხსენებათა ნაყოფია ის ფრიად საჭირო დაწესებულებანი, რომელთა დიდი მადლიერნი უნდა იყვნენ ქალაქის მცხოვრებნი. როდესაც ქალაქის საბჭომ თავ. არღუთინსკი და ვერმიშევი გამგეობის წევრებად აირჩია, გაცოცხლდა საქმე და შეიძლება მათ ბევრი რამ წვრილმანი და უმნიშვნელო საქმე დარჩათ შეუსრულებელი, მაგრამ იმათ მიერ შექმნილი თვალ-საჩინო საქმენი სრულიად ჰფარავენ წვრილმან შეცდომებს.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 272.

# საბაასო

ბ-ნი იოსელიანის წერილის გამო *)

თქვენი წერილი, ბ-ნო გიორგი, კავკავის სკოლის შესახებ მშვენიერს შემთხვევას მაძლევს დოკუმენტარულად დავასაბუთო თქვენივე სარევიზიო ანგარიშებიდგანვე ჩემი ნათქვამი ამ სკოლაზე და მეც ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა სავსებით დავამთავრო ბაასი.

„სამჯერ ვიყავი სარევიზიოდ კავკავის სკოლაში და კარგის მეტი არა მითქვამსრაო“: ბრძანებთ თქვენს წერილში. ეს სინამდვილეს არ ეთანხმება. თქვენი ანგარიშები მარტო ქებას როდი იპყრობენ. თუ მათში საქები ნაქებია, სამაგიეროდ გასაკიცხი გაკიცხულია თამამად, და ეს შეადგენს მათს ჭეშმარიტს ღირსებასა. თქვენს ანგარიშებს მე თითქმის ყველაში ვეთანხმები, თქვენს უკანასკნელს წერილს კი არა. ამ წერილში თქვენ კავკავის სკოლას საზოგადოდ სამაგალითო სასწავლებლად აღიარებთ, და მაშასადამე აწინდელს წეს-რიგს მისი გამგებლობისას სავსებით ამართლებთ. თქვენი ანგარიშები კი ხმა-მაღლა ლაპარაკობენ ამ სკოლის ნაკლულევანებებზე, რომელთაც აბრალებთ ანორმალურს გამგებლობას. მაგალითად, 1899 წლის სარევიზიო ანგარიშში თქვენ აღნიშნავთ დიდს დაქვეითებას მეორე განყოფილებისას, რაც შემდეგში გახდა მიზეზი უფროსი განყოფილების დაქვეითებისა, აღნიშნავთ აგრეთვე დიდს უთანხმოებას და განხეთქილებას ერთი მხრივ მასწავლებელთა შორის და მეორე მხრივ მაშინდელის გამგის შორის და ყველაფერში ამტყუნებთ ამ უკანასკნელსა.

მართალია, აწინდელს გამგეზე უკეთესი აზრისა ხართ; მაგრამ აქაც აშკარადა სჩანს თქვენი სიმპატია თვით-გამგებლობის აღდგენაზე.

აი რასა ვკითხულობთ თქვეს უკანასკნელს ანგარიშში: „მინდოდა გამეგო, რამ გამოიწვია სკოლის ახალის გამგისა და მასწავლებლის ბოცვაძის შორის უკმაყოფილება და ამ მიზნით მე მოვიწვიე ორნივენი და ვკითხე, გულახდილად წარმოეთქვათ ერთმანეთ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მიზეზი. დიდი ხნის ბაასის შემდეგ მასწავლებელმა ბოცვაძემ ის აზრი წარმოსთქვა, რომ იგი უნდა იყოს სკოლაში სრული გამგე პედაგოგიურის და ეკონომიურის მხრივ. ამის შემდეგ ბ-ნმა გოთუამ უპასუხა, რომ იგი სრულიად წინააღმდეგი არ არის, მიენიჭოს ეს უფლება ბოცვაძეს, უკეთუ წერა-კითხვის საზოგადოების გამგებლობა ინებებს, ხოლო მას თვითონ არა აქვს უფლება, ინსტრუქციის ძალით, ეს მოვალეობა დაუთმოს მასწავლებელსა. როგორც აღმოჩნდა, ბოცვაძის უკმაყოფილების მიზეზი ისიც ყოფილა, რომ სკოლის ახალს ზედამხედველს კავკავის სკოლის ქონება და ბიბლიოთეკა ჩაუბარებია მასწავლებელი კ—შვილისათვის და იგი გაუხდია თავისს წინაშე პასუხის მგებლად“.

ამ საკითხის გამოსაკვლევად დირექციაც კი გინახამთ და მოგილაპარაკნიათ მასთან. აი რასა სწერთ თქვენს ანგარიშში: „დირექტორს ჩამოვუგდე ლაპარაკი სკოლის ზედამხედვლისა და უფროსი მასწავლებლის შორის მოვალეობის განაწილების შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ბ-ნი დირექტორიც იმ აზრისა ყოფილა, რომ გამგეს (распорядителю или блюстителю) უნდა ეკუთნოდეს სკოლის გარეშე თვალ ყურის დევნა და სახსარზე მზრუნველობა, ხოლო უფროსი მასწავლებელი უნდა იყოს პასუხის მგებელი სწავლა აღზრდის საქმეში და შინაურს მოწყობილებაში“ (იხილე 1900 წლის სარევიზიო ანგარიში, გვერდი 15).

ეხლა რაღასა ვხედავთ კავკავის სკოლაში? როგორც სჩანს თვითონ თქვენი უკანასკნელის ანგარიშიდგან, გარეშე გამგე სკოლისა ყველაფერია და უფროსი მასწავლებელი-კი არაფერი, იმდენად არაფერი, რომ იგი დამოკიდებულია უმცროსს მასწავლებელზე, როგორც სრულს სახლის პატრონზე.

ამისთანა ანორმალურ წეს-წყობილებაში თვით ანგელოზებიც ვერ მოახერხებენ შეთანხმებულს მოქმედებასა, არამც თუ ხორც-შესხმული ადამიანები.

დიახ, კავკავის სკოლა სწავლა-აღზრდის მხრივ სამაგალითო არც იყო და არც არის, და ამაზე თქვენი [illegible] ანგარიშები ხმა-მაღლა ლაპარაკობენ. მართალია, [illegible] მას ჰქონდა და აქვს სა[illegible] მხარეები; მაგრამ ამ მხარეებსაც ასუსტებდა, ფრთას უკვეცავდა ერთი ძირითადი ორგანიული ნაკლი, სახელდობრ თვით-გამგებლობის პრინციპის გაუქმება სკოლაში. თუ ეს დაბრკოლება არ გადაღობებოდა მისს წარმატებას, იგი წარსულშიაც და აწმდგომშიც სწორედ სამაგალითო და სასიქადულო სასწავლებელი იქნებოდა ყოველივე მხრივ, რადგან სხვა ფრივ ყოველივე გარემოება ხელს უწყობდა მას, როგორც მე ეს აღვნიშნე შარშანწინ „ივერიაში“ (იხილე 256 ნომერი 1899 წლისა).

პირველი ბედნიერი გარემოება იმაში მდგომარეობდა და მდგომარეობს, რომ ამ სკოლას აქვს საკუთარი სახლი, საკუთარი ეკკლესია, საკუთარი პატარა მამული, და მისს კეთილდღეობაზე სამაგალითო მხნეობით, ზრუნავდა და ზრუნავს კავკავის ქართველობა, რომლის წევრთა შორის არა ერთი და ორი თითქმის თავდადებულია თავისი საყვარელი სკოლისათვის.

მეორე ბედნიერ გარემოებად უნდა ჩაითვალოს იშვიათი ღირსებანი ამ სკოლის უფროსი მასწავლებელისა. საჭიროდ ვრაცხ მოვიყვანო სიტყვა-სიტყვით თქვენის შარშანწინდელის ანგარიშიდგან დასასიათება ამ მოღვაწისა. „ბ-ნ ბოცვაძეს ერთობით ყველანი, კ—ძის გარდა (ძველი გამგე), ძლიერ ემადლიერებიან, როგორც მასწავლებელს, როგორც საზოგადო მოღვაწეს. და მართლაც იგი იშვიათი მასწავლებელია, მისი სახელი, როგორც სამაგალითო მასწავლებლისა, გავარდნილია მთელს თერგის სამოსწავლო ოლქში. გარდა თავისი მოვალეობის აღნიშნულებისა ბ-ნი ბოცვაძე ასწავლის ყმაწვილებს საეკკლესიო და საერო გალობას და ეს საქმეც ძლიერ კარგად მიჰყავს *) ამას გარდა მას გაუმართავს საკვირაო სკოლა ბ-ნი სარაჯიშვილის ქარხანაში და ყოველ—კვირაობით ასწავლის ქართველ მუშებს ყველა საგნებს მარტოდ-მარტო, ბ-ნი სარაჯიშვილი გაკვირვებულია იმ იშვიათი წარმატებით, რომელიც გამოუჩენიათ მუშებს ამ მოკლე ხანში ბ-ნი ბოცვაძის ხელ-მძღვანელობით. ამას გარდა ბ-ნს ბოცვაძეს ამ ორის წლის განმავლობაში შეუძენია სკოლისათვის თავისი ხარჯით თილისმის ფარანი (50 მანეთად ღირებული) და 88 სურათი სხვა-და-სხვა შინაარსისა, გაუმართავს კითხვები კვირაში ორჯელ სარაჯიშვილის ქარხანაში მუშებისათვის, ხოლო კვირაობით სკოლაში საკვირაო სკოლისა და უფროსს განყოფილებათა მოწაფეთათვის. თუმცა კავკავის საზოგადოებაც დიდად აფასებს ბ-ნი ბოცვაძის შრომას, და მას არა სურს დაჰკარგოს ასეთი სამაგალითო მასწავლებელი; მაგრამ მაინც ბ-ნს ბოცვაძეს უნდა თავი იხსნას ბ-ნი კ—ძის ხელიდან და ამიტომ სთხოვა მმართველობას იშუამდგომლოს, რათა იგი დანიშნულ იქმნას თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მასწავლებლად“ (სარევიზიო ანგარიში 1899 წლისა უკანასკნელი გვერდია“).

ამას დაუმატებთ იმასაც, რომ ბ-ნს ბოცვაძე, რომელიც ორს უფროსს განყოფილებას ასწავლის, იმდენივე ჯამაგირი აქვს, რამდენიც უმცროსს მასწავლებელს, რომლის ხელში მხოლოდ ერთი განყოფილებაა.

მესამე ბედნიერი გარემოება, რომელიც ხელს უწყობდა კავკავის სკოლას ის იყო და არის, რომ მისნი გამგენი მხნედ და ერთგულად ილვწოდნენ სკოლის ნივთიერს მხარეზე და დიდი მონაწილენი იყვნენ იმ ღვაწლში, რომლის წყალობით კავკავის სკოლა შეიმოსა, ასრე ვსთქვათ, სრული სხეულითა.

სამწუხაროდ ამ სრულს სხეულში ვერ აღიზარდა სრული სული, ვერ აჰყვავდა ჯეროვან სიმაღლემდის სწავლა და აღზრდა, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სკოლას გამოცლილი ჰქონდა მთავარი ბურჯი აყვავებისა—თვით გამგებლობა, წინააღმდეგ პედაგოგიურის პრინციპისა და კანონის მოთხოვნილებისა. მასში ბატონობდნენ და ბატონობენ, ლვიძლი გამგის ნაცვლად, გარეშე უფროსნი, გემნაზიის მასწავლებელნი, რომელნიც რამდენადაც სარგებლობის იყვნენ სკოლის სხეულისათვის, როგორც მხნე წევრნი სასკოლო მზრუნველობისა, იმდენად შეუსაბამონი გამოდგნენ სკოლის სულისათვის, როგორც მმართველნი მისნი და ხელმძღვანელნი სწავლა აღზრდისა. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბ-ნი იოსელიანი არასასურველ მოვლენათა სკოლაში 1891 წელს აბრალებს მაშინდელს გამგეს. ახლანდელის უფროსი განყოფილების დაქვეითებაც მიაჩნია პირდაპირ შედეგად მაშინდელის მეორე განყოფილების დაქვეითებისა, რომლის მასწავლებელი გამწყრებული იყო მაშინდელ[ის] გამგის მიერ და მიტოვებული უხელმძღვანელოდ. ხოლო ახლანდელის უმცროს განყოფილების ნაკლნი წარსულში არ მოიპოვებიან, რა საკვირველია. მათი მიზეზი აწმდგომში უნდა ვეძებოთ. მაშ ვიკითხოთ: ვის უნდა დავსდოთ ბრალი იმ უვიცობისა და თავნებობასა, რომელიც ისე ცხადად სჩანს პირველის განყოფილების არითმეტიკის და ქართულის წერის რვეულებიდგან? ვინ არის დამნაშავე იმ ცემა-ტყეპაში, რომელსაც უჩივიან ამ განყოფილებაში? მასწავლებელი? დიაღ ძველი გამგეობა სავსებით მას სდებდა ბრალსა და როცა ხსენებული რვეულები გავშინჯეთ, თვით თავმჯდომარემ ბ-მა ცხვედაძემ სხდომაზე წარმოსთქვა: ცემა-ტყეპაც რომ არ ყოფილიყო, ეს უვიცობა და თავნებობაც საკმარისია, რომ მასწავლებელი დავითხოვოთო.

მე სხვა აზრისა ვიყავ და ვარ. პირდი ცვლილებათ საქმე არ გაკეთდება. პეტრეს დავითხოვთ, პავლემაც შეიძლება იგივე ჩაიდინოს, თუ უკუღმართნი გარემოებანი უცვლელად დარჩებიან. წინადაც დავითხოვეთ პირველი გამგე იმ განზრახვით, რომ დამსახურებული უფროსი მასწავლებელი გვეხსნა შევიწროებისაგან და შეგვერჩინა სკოლისათვის. გავამწესეთ მეორე გამგე, შემკული არა ერთი ღირსებითა. მაგრამ რა გამოვიდა? ამან უფრო მეტად შეავიწროვა იგი, ჩამოართვა სახლის პატრონობა, ჩააბარა უმცროს მასწავლებელს და ამ მხრივ პირველი უკანასკნელს დაუმორჩილა და გაუძლიერა სურვილი სკოლის დატოვებისა. დაითხოვეთ მეორე გამგე, გააწესეთ მესამე და იგივე სამწუხარო ისტორია მესამედ გამეორდება და ამ გამეორებეს იქნობამდინ არ ექნება დასასრული, ვიდრე თვით უკუღმართ სიტყვება გამგებლობისა არ შეიცვლება და ნორმალიური წეს-წყობილება არ დამწესდება სკოლაში. ესევე უნდა ვთქვათ უმცროსი მასწავლებლის დათხოვნაზე. ეს დათხოვნა მით უფრო უადგილოა, რომ თვით მისნი შეცდომანი ბავშვების სწავლებაში სრულადაც არ ამტკიცებენ მის უნიჭობასა. აქაც მთავარი დამნაშავე გახლავთ სისტემა.. უმცროს მასწავლებელს რომ შინაური მეთვალ-ყურე და ყოველდღიური ხელმძღვანელი ჰყოლოდა, რამდენიმე სასტიკი შენიშვნა, თავის დროზე მიცემული, სრულად საკმარისი იქნებოდა, რომ იგი დასდგომია სწორე გზასა სწავლაშიაც და აღზრდაშიაც და სარგებლობის მეტი არა რა მიეტანა ძველისათვის; ეს ეხლაც ძნელი არ არის‘ თუ სკოლაში აღდგენილი იქნება თვით გამგეობა.

ამ თვით გამგებლობამ უნდა გაუწიოს უმცროს მასწავლებლებს სისტემატიური ხელმძღვანელობა სწავლებასა და აღზრდაში, დააყაროს ერთობა სწავლების ხერხებში, დააყენოს აღზრდა კაც-მოყვარეობის ნიადაგზე, დააკავშიროს ერთმანეთთან სკოლის ყველა განყოფილებანი ორგანიული ერთობით, ერთი სიტყვით გარდააქციოს იგი სამაგალითო სამოსწავლო ორგანიზმად ყოველი მხრივ. ასეთი სანატრელი მომავალი მით უფრო შესაძლებელია დამოსალოდნელი, რომ თვით-გამგებლობას სკოლისას მხარს დაუჭერს მხნე სამზრუნველო, რომლის თავმჯდომარე იქმნება ზედა მხედველი და კონტროლიორი შინაურის გამგებლობისა.

ასეთი რეორგანიზაცია არავითარს დაბრკოლებას არ გამოიწვევს ახლანდელის დირექციის მხრივ, სავსებით დააკმაყოფილებს თავისი სამართლიანობით კავკაველს ქართველობას, დააშორებს სკოლაში წყაროს განხეთქილებისას და გაამეფებს მასში ნორმალურ წეს წყობილებას. ყოველი მხარე კმაყოფილი იქმნება, ერთად ერთისა, რომელსაც ჰქვიან:.. უკუღმართი ჯიუტებს.

იაკობ გოგებაშვილი.

*) ეს წერილი გავგზავნეთ დასაბეჭდად „ცნობის ფურცელში“, სადაც აღიბეჭდა წერილი ბ-ნი იოსელიანისა. რედაქცია ჩავარდა საგონებელში და რამდენსამე დღეს ვერ გადასწყვიტა ვერც დაბეჭდა და ვერც დაუბეჭდლობა. ბოლოს უარი შემომითვალა, ალბად ამ მოსაზრების ძალით: ეს წერილი ბ ნი იოსელიანის ციტატებით ჩვენც გვამტყუნებს, უკანასკნელს პოზიციას გვართმევს და ცილის მწამებლებად გამოვდივართ ჩვენის მკითხველების თვალში და ისიც რა დროს? როდესაც ხელის მოწერა გაზეთებზე იწყობა.

ავტორი

*) წარსული წლიდან გალობის სწავლება მან გადასცა უმცროსს მასწავლებელს, ხმის დაღლილობის გამო.

ავტორი

# დეპეშა

დეკემბრის 14-ს.

**პეტერბურგი**, დღეს გაიხსნა პირველი კრება სასოფლო მეურნეობის მოღვაწეთა. კრებას სხდომები ექნება სასოფლო მეურნეობის ლიცეის დარბაზში. ჯერ გამოცხადდა სულ 80 მეურნე.

**ხარკოვი.** ქალაქის არჩევნები გათავდა. არჩეულ იქნა 70 ხმოსანი. აქ ზამთარი ზამთარს არა ჰგავს. ეხლანდელი დარები ცუდად მოქმედებს ხორბლის ჯანმთელობაზე, მეტადრე ბავშებისაზე.

**კიევი.** კიევ-პოლტავის რკინის გზა დამთავრდა და ჩაიბარეს. დაიწყო მიმოსვლა მდინარეებს პოლსა და ვორსკლაზე გადებულს ხიდებზე. ორი კვირაა, რაც ტემპერატურა წელს ზევით არის. ასეთი ზამთარი დიდი ხანია არ მოსწრებიათ.

**ნიუ-იორკი.** „ნიუ-იორკ-ჰერალდს“ ბუენოს-აირესიდგან ატყობინებენ, რომ არგენტინის რესპუბლიკის რწმუნებულმა პორტელამ აღმოაჩინა, რომ ჩილის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრს, იანეცს, ერთი სიტყვა შეუცვლია პროტოკოლში. პორტელას [ხ]ელი მოუწერია პროტოკოლზე იმ იმედით, რომ ის სწორე პირი იყო იმ პროტოკოლისა, რომელიც ორთავე მმართებლობის თანახმობით იქნა შედგენილი. პორტელამ მოითხოვა ეხლა ამ სიტყვის შეცვლა და გამოაცხადა, რომ თუ ჩილი არ შეასრულებს მის მოთხოვნილებას, იგი გაბრუნდება სანტ-იაგოდგან და რაც ამდენ ხანს მოხდა, ყველაფერს გაუქმებულად გამოაცხადებს.

**ლონდონი.** ამ თვის 13-ს კიტჩენერი ტელეგრამით იწერება იოჰანესბურგიდგან: „გენერალი რენდლი იწერება, რომ დევეტმა, რომელიც წინ უძღოდა ბურების დიდ გუნდს, ამ თვის 11-ს იერიშით აიღო ფირმანსის ბანაკი ტვიფონტეინთან. ვშიშობ, რომ მარცხი დიდი უნდა იყოსო. ფირმანს ხელქვევით ჰყავდა 400 იომანრი ორი ზარბაზნითურთ. მ[ას] ეჭირა ბოლო ადგილი ჰარისმიტსა და ბეთლემ[ს] შორის გამართულ სიმაგრეებისა. დევეტს დაედევნა ორი რაზმი ცხენოსან ჯარისა.

**მოსკოვი.** დეკემბრის 14-ს, დილის 3 საათზე ცეცხლი გაუჩნდა დიდს, ჯერ დაუმთავრებელს სახლს პეტერბურგის დამზღვევი[ს] საზოგადოებისას თეატრის მოედანზე, პირველა[დ] ცეცხლი მოედვა მესამე სართულს იმ შენობისას, რომელშიაც სასტუმრო „მეტროპოლია“ მოთავსებული. 60 ნომრის მდგმურები ელდანაცემივით ეტანებოდნენ კარებს, ერთი აპ[ა]რაცია გაკეთებული ქალი, რომელსაც სისხლ[ი] დაუწყო დენა, სამკურნალოში გააგზავნე[ს]. ალი სართულიდგან სართულზე გადადიოდა, ყველაფერს ნაცრადა და ნახშირად აქცევდა. გამოწვეულ იქმნა ყველა უბნებიდგან ცეცხლის საქრობი რაზმები. შვიდი ორთქლის მაშინა მუშაობდა. რაზმში მოსამსახურენი უკიბეებოდ ავიდნენ მეხუთე სართულის სახურავზე. მალე ცეცხლი ისე გამძაფრდა, რომ 30 კაცი იძულებულნი შეიქნენ, ძირს ჩამოსულვა მოენდომებინათ, მაგრამ უკიბოთ აღარ შეიძლებოდა. ზოგიერთები მეოთხე სართულის კარნიზებზე ეშვებოდნენ, ზოგს სული შეუწუხდა, ერთსაც თვალები დაუსკდა, ორს ტვინი შეერყა. ვიწრო კარნიზებზე ზოგნი ჩამოეკიდნენ, ზოგნიც წაწოლილნი იყვნენ ნახევარ საათობით. ბოლოს კიბეებიც მოიტანეს და როგორც იქნა უშველეს მათ. შენობა ეხლაც იწვის, მისი გადარჩენა აღარ შეიძლება. შენობა დაზღვეულია პეტერბურგის დამზღვევ საზოგადოებაში სამ მილიონ და ასი ათას მანეთად დაგადაზღვეულია საზღვარს გარეთის საზოგადოებებში. მოძრავი ქონება დაზღვეულია 200.000 მანეთად „ნადეჟდაში“. პეტერბურგის საზოგადოებას საზღვევად შეხვდება მეთერთმეტე ნაწილი ზარალისა. ცეცხლის საქრობი რაზმი მამაცურად ებრძოდა ცეცხლს.

## პეტერბურგის ბირჟა, 14 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,65 |
| ბერლინში 100 მარკაში | $45{,}92\frac{1}{2}$ |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,45 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიზში „ | 37,55 |
| ბირჟის დისკონტი | $5\frac{1}{2}$—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $96\frac{1}{8}$ გაყიდ. |
| $4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 474 გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 358 გაყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 244 მყიდვ. |
| $3\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა | $87\frac{7}{8}$ გაყიდ. |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | $87\frac{3}{8}$ გაყიდ. |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9300 წვრ. გაყ. |
| აქციები „ | 470 „ |
| „ კასპიის ამხანაგობისა. | 358 „ |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 324 „ |
| „ ა ი მანთაშევისა დ ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 151 „ |


# განცხადებანი

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თბილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თბილისში დატანით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით [illegible] მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში** — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артилер. ул., № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

**ფოსტის ადრესი:** *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Декабря 1901 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლის“ და ძმ. ხელაძის სტამბა. ლორ.-მელიქ. ქუჩ. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.